№ 3018
შაბათი,
4 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 3018
შაბათი,
4 მარტი

ხელის მოწერის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის [illegible] ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-“Моамбе“. ტელეფონი № 372

ეროვნული ბიბლიოთეკა

1906 წელს

„ცნობის ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

გამოვა: იმავე პროგრამით, ყოველ დღე; გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

ტფილისში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით ერთის წლით **6** მან. ერთის თვით 50 კაპ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით ერთის წლით **11** მან. ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა [illegible] ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.

„ცნობის ფურცლის“ წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწკალი“.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели“.

ანჩისხატის ტაძარში შაბათს, 4 მარტს, დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი

ილია ზურაბის ძე მერკვილაძის

სულის მოსახსენებლად, რომელსაც ბოროტმა ადამიანებმა დაბა ზესტაფონის ახლოს მოუსპეს ჯერ კიდევ ნორჩი და ჯან-ღონით სავსე სიცოცხლე. (1—92—1)

კვირას, 5 მარტს, ქ. გორს, ოქონის ტაძარში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ქ. იურიევში უდროოდ გარდაცვალებულის, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ახლად კურს დამთავრებულის

გრიგოლ (იგივე ნიკოლოზ) ბექანის ძის ნ ხუცრიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის დედა, და, სიძე და დისწულები. (1—87—1)

დავით ლევანის ძე ღოღანიძე აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ძვირფას მეუღლის

ესმა ოქროპირის ასული ღოღანიძისას

გამოსვენება დილის 9 საათზე. ბინა: დიდუბე ნიკიფოროვის ბაღი. გაასვენებენ დიდუბის ღვთის მშობლის ეკლესიაში და იქიდან დასაკრძალავათ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—93—1)

ეკატერინე ბორისოს ასული, მარიამ ნიკოლოოზის ასული და სოფიო ალექსანდრეს ასული ბუჭყიევისა შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

ზაალ ბორისოს ძის ბუჭყიევისას

გამოსვენება მოხდება დღეს, 4 მარტს, დილის 10 საათზე, ორბელიანის ყრუ-ქუჩიდან ანჩისხატის სობოროში, იქვე დაკრძალვენ სავერიეულო სასაფლაოზე. (1—1)

კნეინა სოფიო მელიტონის ასული სუმბათაშვილისა შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 5 მარტს, იქმნება გადახდილი ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი

თ. ვასილ ალექსანდრეს ძის სუმბათაშვილის

სულის მოსახსენებლად. დილის 10 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი **სთხოვს ტფ. გუბერნიის თავადთა და აზნაურთ მობრძანდნენ თავად-აზნაურობის საგანგებო კრებაზე, რომელიც მოხდება 9 მარტს, შუადღის 12 საათზე, ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სადგომში. კრებამ, თანახმად 20 თებერვლის უმაღლესის მანიფესტის I ნაწ. მე-6 მუხლისა, უნდა აირჩიოს ორი ამომრჩეველი, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში.** (ნ 3—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

კვლავ აუწყებს ამ ბანკის მსესხებელთ, რომ **სრულიად სიცრუეა და ყოველს საფუძველს მოკლებულია** ვიღაცეების მიერ გავრცელებული ხმა, ვითომ 8, 10, 13 და 15 ამა მარტს დანიშნული ვაჭრობა არ მოხდებაო. ამიტომ, ვისაც არ სურს, რომ ბანკში დაგირავებული მამული გაეყიდოს, უნდა დააჩქაროს და ვაჭრობის დღემდე წარმოუდგინოს ბანკს დაწესებული გადასახადები. (ნ. 2—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთა მიღება ყოველდღე, კვირეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი,
ჟ. მ. ხიძოშანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საზებით, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
მ. ზ. ამეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისის, ვენერიული და ქირურგიული ავადმყოფობანი.
ძ. ი. [illegible]: 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.
ა. მ. ქარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ა. ი. [illegible]: 1½—2 ს. საზებით და ქალთა ავადმყოფობანი.
ბ. ი. მურზბეკოვი: 1—2 ს. ქალისა და საზებით ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ა. ი. კუზინოვი: 5—6 ს. შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობანი და ყვავილის აცრა.
ნ. მ. [illegible]: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი: 7—7½ ს.

რჩევა-დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана Тифлисъ, противъ памятника Воронцова. (წლ.)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. ზ. ალაჯანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ტყავის ავადმყოფობანი.
ი. ნ. მზიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი ელექტრონით წამლობა.
ბ. ნ. დოიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
ბ. ა. ტატიშოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ი. ამეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. ა. ძიმოტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ილჩიძი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
ბ. ა. ბიიორი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—48)

ექიმი
შ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

„ცნობის ფურცლის“ რედაქცია

კვლავ აცხადებს, რომ გაზეთში დაუბეჭდავი მასალის გამო რედაქციას **არავითარი მიწერ-მოწერა** არ შეუძლიან და წვრილი მასალა არ ინახება რედაქციაში.

მედიცინის დოქტორი
გრიგოლ იოსების ძე გურგენოვი,
რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის საზებით და საგინეკოლოგო კლინიკის შტატის ორდინატორად იყო, იღებს საზებით და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. ავადმყოფები მიიღება: დილით 10-დან 12-მდე; საღამოთი 5-დან 7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნიზა, საარტისტო საზოგადოების პირდაპირ. (30—53—15)

ქ. ქუთაისში
ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
იღებს ავადმყოფებს (ყური, ყელი, ცხვირი და შინაგანი სნეულებანი), პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელისა. (14—კვ.—1)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოოზისა (№ 14) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—12-მდის.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე. საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (300—5.—44)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—7-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 8. (წლ.)

კბილის ექიმმა
ი. ზ. ქანდელაკმა
განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პროსპექტი, მატინოვის სახლი 32. ძველ ზინის [illegible].

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
6—7 ს.-მდე [illegible] რი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ტფილისი, 4 მარტი.

ქვემოდ მკითხველი იპოვის „პროვინციელის შეკითხვას“, რა გზას დავადგეთ „ჩვენ, ქართველებმა“ მომავალ არჩევნების საქმეშიო?! ჯერაც ვერ გამოგვირკვევია, ჩვენ, პროვინციელებს—მივიღოთ თუ არა მონაწილეობა სათათბიროს არჩევნებში და ვინ უნდა ითავოს ამ საქმის მოწყობაო?!

გასაკვირველი არ არის პროვინციელის ყოყმანი, რადგან საკითხი, მართლა ძნელია. არა თუ ჩვენი პროვინცია, რუსეთის შეგნებული და მოწინავე საზოგადოება ვერ დაადგა გარკვეულ გზას ამ საქმეში; პროგრესიული გაზეთები და ელემენტები გაიყო ორად და ორთავე მხარეს საყურადღებო საბუთები აქვს. თვით უკიდურეს მემარცხენე პარტიებმა—სოციალდემოკრატებმა და სოციალისტ-რევოლიუციონერებმა—ვერ მოახერხეს და საბოლოოდ საერთო პასუხი ვერ გასცეს თავიანთ მომხრეებს: მიიღონ თუ არა მონაწილეობა არჩევნებში და თუ არ მიიღონ, როგორი ბოიკოტი გამოაცხადონ—აქტიური თუ პასსიური.

ჩვენ აქ არ გავიმეორებთ ყველა საბუთებს pro და contra, აღვნიშნავთ მხოლოდ უმთავრესთ, რათა „პროვინციელისათვისაც“ ცხადი იყოს, რომ ქართველ ინტელიგენციის ყოყმანს გასამართლებელი საბუთი აქვს.

ის პროგრესიული ელემენტები, რომელნიც საჭიროდ სთვლიან სათათბიროში მონაწილეობის მიღებას, თავის გარდაწყვეტილებას იმით ასაბუთებენ, რომ მომავალი სათათბირო ერთ-ერთი იარაღი იქნება თვითმპყრობელ ბიუროკრატიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. რამდენიც არ უნდა ეცადოს ბიუროკრატია ვერ მოახერხებს სრულიად მორჩილი სათათბირო აირჩიოს; უეჭველია, შიგ ოპპოზიცია გაჩნდება, რომელიც ანგარიშს მოსთხოვს თვითნებობით დაბრმავებულს მთავრობას და რომელიც შეეცდება კონსტიტუციის გაძლიერებას. ამიტომ, პროგრესიულმა პარტიებმა მხარი უნდა დაუჭირონ მომავალ ოპპოზიციას, გააძლიერონ მისი კადრები და იერიში მიიტანონ ბიუროკრატიაზე თვით მის მიერ შექმნილს დაწესებულებაში. ესეთი იერიში ხელს შეუწყობს განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც არა-თუ არ შესუსტდება სათათბიროს მოწვევის შემდეგ, კიდეც გაძლიერდება. ხოლო თუ ხალხის პროგრესიულმა ნაწილმა მონაწილეობა არ მიიღო, მთავრობა რეაქციონურ სათათბიროთი მოატყუებს ევროპას, იშოვის სესხს და კიდევ უფრო გაძლიერებული გაუმკლავდება განმათავისუფლებელ მოძრაობას.

მოწინააღმდეგენი ამაზე უპასუხებენ, რომ სათათბირო, პირიქით, რეაქციის ერთ-ერთ იარაღად გადაიქცევა. მთავრობა იმავე დღევანდელს პოლიტიკას განაგრძობს და ამავე დროს ამოეფარება „სახალხო წარმომადგენლობას“, რომელიც სრული მისი მონა-მორჩილი იქნება. რამდენიც უნდა ვეცადოთ, დღევანდელს პირობებში ბიუროკრატიას ვერ ვაჯობებთ საარჩევნო ასპარეზზე. მან ყველაფერი მოაწყო არჩევნებში გასამარჯვებლად: პრესსა ჩაიჩუმა, აუარებელი მომქმედი ელემენტები ციხეში ჩასვა, კრებები აკრძალა, აგიტაცია შეუძლებელი გახდა და მთელი საარჩევნო საქმე ხელში ჩაუგდო პოლიციას. ეს ერთი მხარე ამ საკითხისა. მეორე: ჩვენთვის ცხადია, რომ სათათბირო სრულიად უძლური გამოდგება საჭირბოროტო საქმეთა გადაწყვეტაში. რუსეთის ისტორიამ მოიტანა და აუცილებლად უნდა გადაწყდეს დიდათ მძიმე საკითხები—მუშათა, გლეხთა, საფინანსო, სახელმწიფოს მოწყობისა და სხვა; ასეთ საკითხებს ხელოვნურად შეზავებული და ბიუროკრატიულის თინებით შერჩეული სათათბირო ვერ გადასწყვეტს. მაშინ მთელი რუსეთი და ევროპაც დარწმუნდებიან, რომ ბიუროკრატია სრულიად დაუძლურდა, რომ იგი ვერ იხსნის რუსეთს და უთუოდ თვით ხალხს, ხალხისაგან თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთ, უნდა გადაეცეს რუსეთის ხსნის საქმე. სათათბირო უკანასკნელი ცდაა მომაკვდავ რეჟიმისა, თავისი პოზიციები გაამაგროს; ეს ცდაც უნაყოფოდ ჩაივლის, თუ რეაქციონერების მეტი არავინ მოიწვევს ახლად განზრახულს კომედიაში მონაწილეობის მიღებას...

ჩვენის აზრით, სიმართლესთან ახლოს უფრო სათათბიროს მოწინააღმდეგენი არი- [illegible] რა-კი სავსებით გამოირკვა ბიუროკრატიის წადილი, საკითხი უფრო ირკვევა. 20 თებერვლამდის ის იმედი მაინც იყო, რომ სათათბიროს დაუკითხავად ვერც-ერთი კანონი ვერ შევა ძალაში (ასეთი იყო 17 ოქტომბრის დაპირება); მაგრამ ახლა გამოირკვა, რომ მთავრობას სათათბიროს გარეშედაც შეეძლება კანონმდებლობა, რომ ყოველივე თითქმის უცვლელად რჩება და „სახალხო წარმომადგენლობა„ მხოლოდ მაცდური დეკორაცია იქნება. ასეთი სათათბირო კოტრობის მეტს ვერაფერს დაამტკიცებს; მას არავითარი ძალა არ ექნება კრიზისიდან იხსნას რუსეთი და, თუ ასეა, განა ღირს განმათავისუფლებელ მოძრაობის ენერგია დაიხარჯოს მისთვის? განა მოსახერხებელია პროგრესსიულმა ნაწილმა მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის თვალის ასახმელად განზრახულს საქმეში?!

ყოყმანი კიდევ შეიძლებოდა, ირგვლივ ცოტათი მაინც რომ შეცვლილიყო პირობები; შეიძლებოდა დროებით შევრიგებოდით ყოვლად უვარგის წარმომადგენლობას, ეგრედწოდებული ელემენტარული მოქალაქობრივი უფლებანი რომ მიენიჭათ მაინც ხალხისათვის თუნდ მარტო არჩევნების დროს. ახლა-კი ვერც-კი წარმოგვიდგენია, როგორ უნდა მოხდეს არჩევნები, როცა აუარებელი ხალხი დატყვევებულია, როცა მთელი რუსეთი საჯარისო ბანაკს წარმოადგენს, როცა ქალაქი და სოფელი იწვის, როცა ამომრჩეველი მიწასთან არის გასწორებული. მთავრობას მართლა რომ სურდეს „სახალხო წარმომადგენლობის„ მოწვევა, საარჩევნო კამპანიის დროს მაინც შეაჩერებდა რეპრესიებს და ამნაირად შეაძლებინებდა ხალხს, ესარგებლნა საარჩევნო უფლებით. დღევანდელს პირობებში კი ბრძოლა სათათბიროს საუკეთესოდ შერჩევისათვის შეუძლებელია და არც არაფერი გამოვა თვით სათათბიროსაგანაც. ჩვენის აზრით, მთელი საუკეთესო ნაწილი, ყველა პროგრესიული ელემენტები რუსეთის ხალხისა და საზოგადოებისა ზურგს რომ შეაქცევდენ სათათბიროს, „ყოვლის შემძლე“ ბიუროკრატია უდაბნოში დარჩება ხულიგანებთან ერთად და აღსასრულის დღეც მაშინ დაუდგება...

ეს არის ჩვენი საზოგადო მოსაზრება პროვინციელის შეკითხვის გამო; ამ საგანს კიდევ დავუბრუნდებით, ახლა-კი კერძოთ უნდა ვუთხრათ ორიოდე სიტყვა ქართველ ამომრჩეველს“.

როგორც სჩანს, ის მოელის „ტფილისელ ქართველობისაგან“ ერთ გადაჭრილ პასუხს, რომელიც სავალდებულო იქნება მთელის ქართველ ერისათვის. შეკითხვის პატივცემულ ავტორს დავიწყებია, რომ ქართველი ერი მთლიანს რასმეს არ წარმოადგენს, რომ იგი, როგორც ყოველი კულტურული ერი, სხვა და სხვა კლასსისა და ელემენტებისაგან შესდგება, რომ მისი შეგნებული ნაწილიც სხვა და სხვა პარტიად და ჯგუფად არის დაყოფილი. ყოველ ნაწილს, საკუთარ ინტერესების მიხედვით, თავისი განაჩენი ექნება აღძრულ საკითხის შესახებ. სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიღება, თუ არ მიიღება ისეთი დიდი ეროვნული საკითხი არაა, რომ მთელი ერი შეაერთოს და ერთი გადაწყვეტილება მიაღებინოს ყველა კლასსებსა და პარტიებს. მართლაც, ეს ასე ხდება კიდეც: როგორც სჩანს, უკიდურესი პარტიები ჩვენშიაც გადაჭრით ბოიკოტს გამოუცხადებენ სათათბიროს; ხოლო ისეთი პარტიებიც მოიძებნებიან, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ. ჩვენ არ გვაინტერესებს, რასაკვირველია, ის ნაძირალა ელემენტები, რომელნიც მთავრობის ყოველ დაძახებაზე მზად არიან მხარი დაუჭირონ; ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენშიაც სჩანს ისეთი პროგრესსიული ნაწილი, რომელიც პრინციპიალურად სთვლის საჭიროდ საარჩევნო ბრძოლაში მონაწილეობის მიღებას; მაგალითად, ქუთაისში უკვე შესდგა და ტფილისშიაც სდგება ჩვენებურ კონსტ.-დემოკრატიული პარტია, რომელიც, რუსეთის საერთო კონსტ.-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად, აპირობს სათათბიროში შესვლას, მაგრამ, რამდენად რუსი კონსტ.-დემ. იჩენენ მხნეობასა და ენერგიას, იმდენად ჩვენებურები სუსტნი და უმოძრავნი არიან; ვეჭობთ, რომ ამათ შესძლონ და აქტიური დახმარება გაუწიონ თავიანთ რუს მოძმეთ სათათბიროს ოპპოზიციის გაძლიერების საქმეში. ამდენ ხანს ისიც ვერ მოუხერხებიათ, რომ პარტიული ორგანო იქონიონ მათთვის საინტერესო კითხვებზე.

* * *

„განათლების ლიგა“

წელიწად-ნახევრის წინად, როდესაც რუსეთის ხალხი ბიუროკრატიის თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად ემზადებოდა და კრებებზე სხვა და სხვა საჭიროების შესახებ პეტიციებს ადგენდა ან რეზოლიუციებს სწერდა, განმათავისუფლებელ მოძრაობის მტერნი ირონიულად ამბობდნენ, ყველა რეზოლიუციის, ყველა პეტიციის პირველი მუხლი ბიუროკრატიის უარყოფაა და შემდეგი მუხლებით კი იმავ ბიუროკრატიას სთხოვენ სხვა და სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად ღონისძიებათა მიღებასო. ამ გვარად, მათის აზრით, თავისუფლების ჭირისუფალნი იმავ თავით შინაგან წინააღმდეგობის სენით იყვნენ შეპყრობილნი. ამ საყვედურს ცოტაოდენი სიმართლე აქვს, თუ საქმეს ფორმალურად შევხედავთ, მაგრამ არსებითად კი წინადაც და ეხლაც იგი მტკნარი სიყალბე იყო. განთავისუფლებისთვის მებრძოლ ხალხს თავიდამვე ძალიან კარგად ესმოდა, რომ ბიუროკრატია იმის საჭიროების დაკმაყოფილებას არ მოისურვებდა და, თუნდ მოესურვებინა კიდეც, ვერ დააკმაყოფილებდა; პეტიციებს და რეზოლიუციებს კი ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ირკვეოდა პროგრამა მოქმედებისა და ფართო წრეებში ვრცელდებოდა აზრი განსაზღვრულ მოქმედების საჭიროების შესახებ.

განთავისუფლებისთვის მებრძოლთა ზომიერმა ნაწილმა 17 ოქტომბრის შემდეგ შესაძლოდ სცნო სარევოლიუციო ტაქტიკის უარყოფა და ლეგალურ მოღვაწეობის დაწყება. სადაც ეს ზომიერი ნაწილი საზოგადოებისა ძლიერია ორგანიზაციის მხრივ და სადაც იმას საკმაოდ ჰყავს ცოდნით და ენერგიით ღონიერი ინტელიგენცია, იქ უკვე პრაქტიკულ მოქმედებას შეუდგნენ სხვა და სხვა საერო საჭიროების გასაძლოლად; პირიქით, ისეთ ადგილებში, როგორც მაგალითად ჩვენი ქვეყანაა, სადაც დღემდე ზომიერი ნაწილი საზოგადოებისა ვერც კი ახერხებს თავის აზრების და იდეალების შესაფერ პოლიტიკურ პარტიის დაარსებას, ასეთ ადგილებში ახალი სახის პრაქტიკული მოქმედება სრულებით არა სჩანს.

რუსეთს, როგორც ვიცით, მეტად ძლიერი ინტელიგენცია ჰყავს და ერთ-ერთი დიდ-

მნიშვნელოვანი საქმე, რომელსაც ეს ინტელიგენცია ჰკიდებს ეხლა ხელს, არის საერო განათლების საქმე. ოფიციალურად საერო განათლების საქმეს სათავეში საერო განათლების სამინისტრო უდგას, რომელმაც თავის დიდის ხნის არსებობის ისტორიით დაამტკიცა, რომ იგი უძლურია ღირსეული წინამძღოლობა გაუწიოს ხალხის განათლებას. რუსეთის ინტელიგენცია წინადაც ძალიან გულმოდგინეთ სცდილობდა თავისი ძალ-ღონე ხალხის განათლებისთვის მიეხმარებინა, მაგრამ ბიუროკრატიამ იმათი მოქმედება მაშინ მავნებლად სცნო და გააუქმა პეტერბურგის წერა-კითხვის საზოგადოება. ეხლა რუსეთის ინტელიგენცია წინანდელზე გაცილებით ფართოდ აყენებს საქმეს და აპირობს შეიქნეს მეთაურად არა მარტო პირველ-დაწყებითის, არამედ საერთოდ განათლების საქმისა, სხვათა შორის უმაღლესი განათლებისაც.

ამ აზრის განსახორციელებლად პეტერბურგში შემდგარა განათლების ლიგა ანუ კავშირი, რომელსაც განზრახული აქვს თავისი მოქმედება რუსეთის მთელს ტერიტორიაზე გაავრცელოს და ყველა მუშაკი ამ დიდის საქმისა თავის ორგანიზაციის წევრად გახადოს. განათლების ლიგას, როგორც წესდების პროექტი ამბობს, მიზნადა აქვს თეორიული გამორკვევა განათლების საქმისა, განხორციელება ამ საქმისა ცხოვრებაში და დაარსება ამ საქმისთვის სასარგებლო დაწესებულებებისა.

ხალხის განათლება საყოველთაო საჭიროებაა, ამ საქმეს ხალხის ყველა გულშემატკივარი თანაუგრძნობს, მიუხედავად თავის პარტიული მიმართულებისა და პოლიტიკურ იდეალებისა; ამიტომ განათლების ლიგა პარტიის გარეშე მყოფი დაწესებულებაა. რა თქმა უნდა, განათლების ლიგის სულის ჩამბერავნი, აქტიური მოღვაწენი ზომიერ პოლიტიკურ პროგრამის მიმდევარნი იქმნებიან, მაგრამ უკიდურეს პარტიის წევრებს ეს გარემოება სრულიად ხელს არ შეუშლის თანაგრძნობით მოეკიდონ ამ საქმეს და, რამდენადაც დრო და ვითარება ნებას მისცემთ, მონაწილეობა მიიღონ ლიგის მუშაობაში.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო განათლების ლიგის საორგანიზაციო კომიტეტისაგან წესდების პროექტი. ამ წესდებით, ლიგას ექნება საოლქო განყოფილებები, რომელნიც წარმოადგენენ ავტონომიურ ერთეულებს და თავის საკუთარ წესდების ძალით მოაწყობენ თავის საქმეებს. საოლქო განყოფილებისათვის ლიგის დადგენილებებს სავალდებულო ხასიათი არ ექმნება. საოლქო განყოფილებამ საწევრო გადასახადის რაოდენობა თითონ უნდა განსაზღვროს და თითოეულ წევრის ანგარიშში წლიურად 25 კაპ. უნდა გადასცეს ლიგას; გარდა ამისა ლიგის სასარგებლოდ საოლქო განყოფილებამ სხვა ფულიც უნდა გადასდოს ხოლმე.

ჩვენთვის, ქართველებისთვის, სწორედ ეს საოლქო განყოფილებაა საინტერესო. საოლქო განყოფილების კავშირი ლიგასთან იმ მხრივ არის ხელსაყრელი, რომ რუსეთში საუკეთესო ნაწილი ინტელიგენციისა სატახტო და სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში სცხოვრობს; ამ ინტელიგენციის ძალ-ღონით გამოკვლეულ იქნება სხვა და სხვა თეორიული და პრაქტიკული საკითხი განათლების საქმის წარმატების შესახებ; ეს ინტელიგენცია მოამზადებს, მაგალითად, სახელმძღვანელოებს მთელის რუსის ხალხისთვის, შეიმუშავებს პროგრამებს ხალხის საჭიროების და ცხოვრების მიხედვით და სხვა. მოკლედ რომ ვთქვათ, ლიგა პრინციპიალური ხელმძღვანელი იქნება განათლების საქმისა და საოლქო განყოფილებები კი სწორედ ამ ხელმძღვანელობის ასანაზღაურებლად გადიხდიან განსაზღვრულს ნაწილს თავის შემოსავლიდამ.

ჩვენ გვგონია, რომ საერო განათლების საქმე ყველგან მჭიდროდ უნდა იყოს შეკავშირებული ერის ცხოვრების განსაკუთრებულ პირობებთან და პსიხოლოგიასთან. ქართველი ერის ცხოვრების პირობები და სულიერი ვითარება, ჩვენის ფიქრით, ისე თვალსაჩინოდ განსხვავდება რუსის ხალხის ცხოვრებისაგან, რომ საერთო ხელმძღვანელობა მათის განათლების საქმისა უნაყოფო იქნება. თუ ქართველი ხალხი როდისმე განათლებული ხალხი შეიქნება, ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა თითონ ქართველები იკისრებენ გასწიონ ხელმძღვანელობა ამ საქმისა. ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ თუ ქართველ ხალხში განათლების შეტანის საქმეს ერთგული დამცველები ჰყავს, იმათ თავისი საკუთარი და დამოუკიდებელი საზოგადოება უნდა დაიარსონ. დღესაც არსებობს ტფილისში საზოგადო განათლების კურსები, მაგრამ ამ კურსებს ქართველ ხალხის განათლების საქმე ოდნავაც არ წაუწევია წინ; ამის მიზეზი ისაა, რომ ამ კურსების მომწყობ ორგანიზაციაში სხვა და სხვა ეროვნების პირნი არიან და თავის მოქმედებას რუსულს ენაზე აწარმოვებენ. თქმა არ უნდა, განათლების ლიგა მეტს მნიშვნელობას მოსცემს ეროვნულ სხვა და სხვაობას, მაგრამ მაინც ჯეროვანი და ნაყოფიერი მხოლოდ მაშინ იქნება ხალხის განმანათლებელთა მოღვაწეობა, როდესაც თითოეული ერის ინტელიგენცია თითონ მოაწყობს ამ საქმეს ერის ხასიათისა და საჭიროებათა მიხედვით.

დასავლეთ საქართველოში

რა ხდება ღამ ღამობით სამეგრელოში?

ჩემს სიყმაწვილეს ოცნებად ჰქონდა გარდაქცეული ნახვა იმერეთ-გურია-სამეგრელოსი ამ შავბნელ დღეებში მეღირსა ნატვრის ასრულება. მაგრამ ნახვა გამიმწარდა და მოხვევა-გადაკოცნით მისალმების მაგივრად ამ მხარემ [illegible] ყოფნის დღეები, დამაწყევლინა გაჩენის დღე და გულის სიღრმიდან ამომაკვნესა: ნეტამც, მხარეო, სულაც არ მღირსებიყო შენი ნახვა, რაკი გულის საკლავს გაბრაზებულს და კაცის ღირსება-უფლებათა შელახვის მეტს არას წამოუყენებდი ჩემს უბედურ თვალებს!

მე მწამდა, რომ იმერნი არიან დღეს მესვეურნი საქართველოში, ესენი უკაფავენ ეკლიან გზას მრავალ ტანჯულს ერს და მომავლის იმედით უღიმებენ ქართველს ვაი-ვაგლახით შეჭმუხვნილ მოღუშულ სახეს. ველოდი მენახა ხალხი სიამაყით მაღლა თავაღებული, თავისუფლებით გათამამებული, იმედ გაბრწყინვებული, შეუდრეკელი, გამბედავი და გულადი. ამის მაგივრად ვნახე ხალხი შეშინებული, დაღულული და ტრიალ ხბორებივით მოხეტიალე ტყე-ღრეში. ამისი მიზეზი რაც არის, მკითხველ საზოგადოებას კარგად მოეხსენება.

განვლო ყლეტა-ხოცვა-დაწვის იმ ხანამ, როდესაც ეს უფროსის ბრძანებით და მისთვალწინ ხდებოდა. თუმცა მაშინაც იყო თვითნებობა წვრილ ამასრულებელ ძალებისა, რასაც ხშირად მოსდევდა ერთის ვითომდა დამნაშავის დარბევის მაგივრად, ხუთისა და ათის უდანაშაულო მეზობლის ზედ წაგლესა და აოხრება, მაგრამ მაშინ ეს საშუალებანი უფროსების მიერ უებარ წამლად იყო მიჩნეული და არა ზოგავდნენ ამ წამალს სახმარებლად. ახლა დადგა სხვა დრო, გაძღნენ სისხლის მსმელნი სისხლით, დაწველით და მძარცველით იმდენი ნადავლი ერგოთ, რომ ჯერეთ თითქოს იმყოფინეს; დაიღალნენ უსამართლობის ჩადენით, იქნება შეეშინდათ კიდეც ამდენის უბრალო ხალხის ჯალათობისა, მით უმეტეს, რომ ხალხის მორჩილებამ, ხალხის სიყუჩემ, ხალხის კეთილ სვინიდისიერობამ, ძაან ცოტანი, მაგრამ მაინც ჩააფიქრა ზოგი, აუხილა თვალები, დაანახვა სინამდვილე და ამიტომ არა იშვიათად გესმის გუშინდელ დაუნდობელ მტარვალისაგან, რა დანაშაულობა მიუძღვის ნეტავი ამ ბეჩავ ხალხს, რომ ასე დაუნდობლად ვღლიტეთ, ვაოხრეთ იგი?“ აი ამ ელემენტმა იქონია. ვგონებ, გავლენა თავგამოდებულ ბიუროკრატიის ერთგულ მტარვალებზე და ამიტომ დღეს სამეგრელოში აღარ არის ლაშქართ თავდასხმა.

ამითი ის კი არ მინდა ვთქვა, რომ უბედურებამ იკლო. არა, ეხლა ეს უბედურება ხდება ღამ-ღამობით, უფროსების ნებადართვით, თუ უყურადღებობის მიზეზით, არ ვიცი.

სენაკიდან რომ წავედი, გზაზე ხალხმა შემომჩივლა, ყოველ დღე პოლიცია, სტრაჟნიკები გვაწიოკებენ და გვკლებენო. ამათ ხშირად მიჰყავთ ქვეითა და ცხენოსანი ჯარიც; მართალია, განაგრძეს მოხუცებულებმა, წინათაც გულშემტკივარნი არ იყვნენ ჩვენი „პრისტავ-ნაჩალნიკები,“ მაგრამ, ბატონო, როგორც ეხლა იქცევიან და სიმკაცრეს იჩენენ, ასე რომ ყოფილიყო წინად, მთლად შეგვჭამდნენ, აგვაოხრებდნენ. ბევრად გვერჩივნა, ჩვენი კაცები არა გვყოლიყო უფროსებად. ბატონო, ჩვენი მიწა-წყლის შვილები არიან, ყველაფერი იციან, ბევრს მათგანს მტერიცა ჰყავს და მოკეთეც, ეგენი გვღუპავენ, მაგათგან გვეკოდება მეტად გული, თორემ ჯარის სიმკაცრე გასაკვირველი არ არის.

„ღამე, ბატონო, ღამე მაინც გვქონდეს მოსვენება, გააგრძელა ქოილმა კაცმა: ასე ნადირებივით ტყეში დავდივართ. იქაც დიდი სიფრთხილე და მუყაითობა გვჭირია. ხშირია ისიც, რომ მოულოდნელად თავს წამოგვადგება „დამნაშავეთა“, „აჯანყებულთა“ მაძიებელი და ვერსად მპოვებელი ბელადი: რა გვეშველება ჩვენ უბედურთ, ვინ გვიხსნის ამ გაჭირვებისაგან. რა დანაშაულობისთვის, ბატონო, რატომ არ გაგვაგებინებენ. რაც გვიბრძანეს, ავასრულეთ, მაგათი სიტყვა დედამიწაზედ არ დაუშვით, გავტყავდით, დავბეჩავდით და მაგათი მოთხოვნილება კი სრულებით ავასრულეთ, რის ასრულებაც კი მცხოვრებთ შეეძლო და მოსახერხებელი იყო.“

სავსებით მჯერა ამ კაცების ნალაპარაკევი, მჯერა ისიც, რომ არამც თუ არ გააზვიადეს თავიანთი დღევანდელი უბედურება, დაამცირეს კიდეც, მაგრამ მაინც მოვისურვე მე თვითონ დავრწმუნებულიყავ ნალაპარაკევში.

18—23 თებერვლამდე დავყე ზუგდიდში. პირველ მისვლაზე, დაღლილს და დაქანცულს მეტად მაგრა მეძინებოდა ღამღამობით და ამიტომ ვერაფერს ვიგებდი დაწიოკება-დაწვისას ამ დროს. მხოლოდ დღისით, როდესაც ქალაქში ან მახლობელ სოფლებში გავიდოდი, ვხვდებოდი ხან ვის და ხან ვის, ვეკითხებოდი ყოფა-ცხოვრებაზე და ყველა შავბნელ ამბავს მიამბობდა. ერთგან დუქანი გაუქურდავთ, მეორეგან ფართლეული და სასმელი წაურთმევიათ, მესამეგან ბატი, ინდაური, ქათამი დაუხოცნიათ და წაუღიათ, მეოთხედან ბავშვების ჩასაცმელები, სხვა რომ ვეღარა მოუხერხებიათ-რა.

ტირილით მომმართა ტიტვლიკანად დარჩენილ ბავშვების მამამ: არა, ბატონო, ჩვენ აღარ გვეცხოვრება ამ ქვეყანაში, ეს მეათედ დასცემიან ჩემს სახლსა, ზუგდიდზე ახლო ვარ და დღე თუ ღამე, არის ერთი ჯახი-ჯუხი კარებებზე და გინება-ლანძღვა მთვრალ სალდათ-ყაზახებისა. აი, წუხელისაც, ბატონო, ერთი ფეხით გავასწარით სახლიდან, თორემ ის შენ მტერს, რაც ჩვენ დღე დაგვადგებოდა. ბავშვები ლოგინიდან საბანში გახვეულები გავაქციეთ ტყისკენ, ფეხშიშვლები, მე ერთი ჩოხის ანაბარა, ჩემი ცოლი ერთის კაბისა, ვისხედით დილამდის მინდვრად და ვძაგძაგებდით ამ ქარ-ბუქში. დილას დავბრუნდით, მაგრამ ის შენ მტერს, რაც ჩვენ ვნახეთ: რაც დაუმალავი იყო, სულ ერთიანად გაეზიდნათ, ქათმები აქვე დაეხოცნათ. დამრჩნენ ბავშვები ტიტველები; ნეტა რაში გამოადგებოდათ ბავშვების ძველი ტანისამოსი?

— რატომ არ უჩივლებთ უფროსთან, მე მგონია ჯარის უფროსისთვისაც სასარგებლოა, იცოდეს ასეთი უკანონო მოქმედება ჯარის კაცთა და უყურადღებობა აფიცრებისაგან; ასეთი თავგასულობა ჰრყვნის ჯარს და მგონია უფროსი დაგიმადლებდათ კიდეც, რომ ასეთი საქციელი სალდათებისა მოახსენოთ ხოლმე და სთხოვოთ დაგიცვათ შემდეგში ასეთ თავსასხმისაგან.

— რას ბრძანებთ, ბატონო, ვინ გაბედავს უფროსთან მისვლას. ეს რომ გაიგონ სალდათებმა, მთლად გადაბუგავენ ასეთ ვაჟხედ მეოჯახეს. აა, ბატონო, 18 თებერვალს, კვირას, ზუგდიდიდან, ასე ორი ვერსი იქნება, სოფელი, იქ მისულან ერთ მოსახლისას დამე ყაზახები და სალდათები, მთვრალები და დაუწვავთ იმისი სახლი; წინა ღამეს გაქცევით მოუსწრებია თავის გადარჩენა, ცოლშვილს მოუსწრია და მიმალულა ეზოში, მოხუცებული ქმარი წაქცეულა და დაუკვნესია. მიჰცვივნიათ, უცემნიათ მაგრა, ამბობენ ხელი მოუტეხნიათო; მთლად დალურჯებული, მკლავ ჩამოკიდებული ხელსახოცზე მაზრის უფროსთან მისულა, მაგრამ იმას ლანძღვა-გინებით გამოუგდია. ახლა ჯარის უფროსთან წასულა საჩივლელად. იმასაც გამოუგდია, მეორე ღამეს კი სახლი დაუწვეს. აბა თქვენ მიბრძანეთ, ბატონო, როგორ გაბედოს კაცმა და მივიდეს საჩივლელად... **სტუმარი**

(დასასრული ხვალ)

ქართლში

ს. ბერშუეთი. ჩვენშიაც ყაზახები არიან. ეხლა, ამ გაჭირვების დროს, შეუდგნენ ყველაფრის მოკრეფას. ჰკრეფენ აცენზს, ტყის ფულს, სკოლისა, მამასახლისისა და სხვას. ყოველივე ეს მძიმე ტვირთად დააწვა სოფელს. ერეკებიან სოფლელები გორში საქონელს გასასყიდად, რათა თვით მშიერმწყურვალთ დააკმაყოფილონ მაძღრების გაუმაძღარი მადა.

თვითონ ზოგიერთა ყაზახები, რომელთაც ცოტად თუ ბევრად ჩაუხედნია ჩვენის მხრის სიღატაკე-სიგლახაკეში, ასე ამბობენ: აქეთ ძალიან სიღარიბე ყოფილა, ჩვენც გვებრალება ხალხი, მაგრამ მთავრობის განკარგულება სასტიკია და ჩვენც უნდა აღვასრულოთ იგიო. ყაზახები (50 კაცი ცხენებით) სოფლის ხარჯზედ არიან და დღეში საშუალო რიცხვით 27—28 მანეთი უნდებათ საჭმელად, ესეც სოფლის შელავათია, რასაკვირველია... მაგრამ თავი დავანებოთ გადასახადებს, ამას ჯანი გავარდეს, ხალხი საუკუნოებით შეჩვეულია... ნამეტან დუხჭირობას იტანენ ის პირნი, რომელნიც დაბეზღებულნი არიან აფიციალურ და არაოფიციალურ ჯაშუშებისაგან. ამ ჟამად ყაზახებს თან დასდევს ოფიციალური ჯაშუში „ყაზარა“ (გვარი არ ვუწყი), ს. ზერტში (გორის მაზრა) მცხოვრები. ვისზედაც არა მგონია ხელს უშვერს ყაზახებს: ეს აგიტატორია, ის პრაპაგანდისტიო, ეს ასისთავი, ათისთავი, ამას ბერდენის თოფი აქვს, იმას მაუზერისა და დაიჭირეთო. აწამებენ ობედურებს, გამოტყდითო; მაგრამ რაში გამოტყდნენ, რომ დანაშაული არ მიუძღვით, თოფები არა აქვთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყაზახების უფროსი კეთილი კაცია და უკიდურეს ზომებს გარემოებათა დადგარად ერიდება, მაგრამ როდესაც ყაზარა — უფროსს ჩამოშორებულ ყაზახებს მიაყენებს ვისმეს, — უნდა ნახოთ ცემა-ქეჟა გლეხებისა, იმათი ხმა ზეცას დის... შემდეგ ფულს მოსთხოვს ყაზარა დამნაშავეს, უკანასკნელი ივალებს რამდენსამე მანეთს, მისცემს ყაზარას და ყაზარა უდანაშაულოდ ჩასთვლის აქნობამდე დამნაშავეს...

ასე, ბერშუეთზედაა, გადაგრაგნილი ტყვიის ფერი მძიმე ღრუბელი. ამ ღრუბელ

ფელეტონი

სოციალდემოკრატია და მუშათა მოძრაობა

თავი პირველი

საფრანგეთის სოციალდემოკრატია

IV*)

ჩვენ ვიცით, როგორი იყო ის აზრები პარტიის მეთაურთა სახელმწიფოს შესახებ, რომელიც სარჩულად ედებოდა პარტიის მოქმედებას. განვიხილოთ ეხლა კერძოდ მათი შეხედულება საარჩევნო უფლებაზე.

ამ ოც-ოცდახუთი წლის წინად ყველა რევოლიუციონი ბლანკისტი, დამოუკიდებელი თუ ანარქისტი საშინელის კრიტიკის თვალით უყურებდა პარლამენტარიზმს და შესაძლებელია ითქვას, რომ უმთავრესი ნაწილი მაშინდელ მოძრაობისა ანტიპარლამენტარული იყო. სწორედ ამ ანტიპარლამენტარულ ტენდენციის დაცვაგავრცელებით დაიწყო თავისი პარტიული მოქმედება საფრანგეთის მარქსიზმის სამმა ვარსკვლავმა: გედმა, დევილმა და ლაფარგმა. მათ დააარსეს 1877 წლის დამლევს კვირეული გაზეთი „თანასწორობა“ (Egalité) რომლის გამგე-რედაქტორად გედი იყო. რადგან დრო ისეთი იყო, რომ პარლამენტარული პროპაგანდა გამგონეს ვერ იშოვიდა, ამიტომ მათაც იწყეს ანტიპარლამენტარისტობა, მაგრამ გარეგნული, და საქმე ისე ოსტატურად, დიპლომატიურად წაიყვანეს, რომ თავიანთი ანტიპარლამენტარისტობა ყველას, ანარქისტებსაც კი, დააჯერეს. მაგრამ ეხლა რომ ვუკვირდებით მაშინდელ ნაწერებს, ვხედავთ, რომ ისინი სწორედ მაშინ ამზადებდნენ ნიადაგს პარლამენტარიზმისათვის. ისინი უწოდებდნენ პარლამენტარიზმს დიდ შეცდომას, ჰკიცხავდნენ იმის სისუსტეს და უპრინციპობას, მაგრამ აქა-იქ იმასაც ამბობდნენ, რომ „ცუდი არ იქნება, კლასსიური კანდიდატურა წამოვაყენოთ, იმისთვის კი არა, რომ არსებული წესწყობილება შევასწოროთ, არა, ისე, მხოლოდ მომხრეთა რიცხვის დასათვლელადაო“. და რომ ამგვარ ფრაზებს ხალხის გულში ეჭვი არ გაეღვიძებინა, უფრო მკაცრად ჰკიცხავდნენ პარლამენტარიზმს, რომლის გამარჯვებასაც თურმე თითონვე ნატრობდნენ გულში.

ფრანგ მარქსისტების ქანაობა არჩევნების მნიშვნელობის შესახებ, მით უფრო საყურადღებოა, რომ მაშინ ამ საკითხს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა მოძრაობის გარკვეულ გზაზედ დასაყენებლად, აი რას სწერდა მაშინ ოფიციალური ორგანო საფრანგეთის მარქსიზმისა ამ საკითხის შესახებ: „რაც შეეხება საერთო ამომრჩევლობას, იგი ლედრიუ როლლენმა კი არ გამოიგონა, არამედ, როგორც ამბობენ, მხოლოდ მოაწესრიგა. რისთვის არ უნდა ვსთქვათ ისიც, რომ თუ მან ხელი შეუწყო საერთო ამომრჩევლობის განხორციელებას, მოიქცა სწორედ ისე, როგორც ნაპოლეონი 51 წ., ე. ი. გაიყვანა რეფორმა ისე, რომ მუშა ხალხისთვის იგი ყოვლად უსარგებლო გამოდგა. შეიძლება მას შეგნებულიც არა ჰქონდა უნაყოფობა ამ „დიდ რეფორმისა“ იმ პირობებში, რომელშიაც იგი ხდებოდა: ეკონომიური უთანასწორობა. ჩვენ ნადრაუ როლლენს ბრალს არა ვსდებთ, არ ვამბობთ, რომ უნდოდა ესარგებლნა იმ ილლიუზიით, რომელსაც ხალხს აძლევდნენ საარჩევნო უფლების სახით და რომელიც ვითომ და ძლევა-მოსილად ჰქმნის ყველას. თუმცა საკუთრება მიწისა და სხვა შრომის იარაღთა რეალური ძლევა-მოსილებას უტოვებდა ხელში შეძლებულ უმცირესობას. ჩვენ გვინდა გვწამდეს მისი გულწრფელობა, ე. ი. მისი განუჭვრეტლობა (myopie), მაგრამ, რაც უნდა გულწრფელი იყოს სურვილი, ჩვენ არ შევვიძლია აღვიაროთ, რომ ეს გაერთიანება არჩევნებისა, საკუთრების გაუერთიანებლად სრული 0 (ნული) გამოდგა და არც შეიძლებოდა სხვაგვარად მომხდარიყო.

„რაკი კენჭი (Bulletin de vote) საკმაოდ სცნეს ყველაფრის ასასრულებლად, თოფი და სხვა იარაღი განდევნილ იქნა ხალხის სარევოლიუციო არსენალიდან. რა მოუტანა ამ კენჭმა ხალხს ამ 30 წლის განმავლობაში? არაფერი.

„ხალხის ტვირთის სიმძიმე, მისი ექსპლოატაცია არ შემსუბუქებულა არც წარმოების, არც მოხმარების და არც გადასახადის მხრით—ხალხი გადასახადს ხომ სისხლით და ფულით იხდის. სამუშაო ქირა იგივეა, ე. ი. სწორედ იმდენი, რამდენიც საჭიროა იმ ცოცხალ იარაღის შესანახავად, რომელსაც დაქირავებული მუშა წარმოადგენს. სავალდებულო ჯარში გაწვევა ომის ველზე თავის უნაყოფო სიკვდილის მოლოდინით კიდევ ჰქმნის ძალაუნებურად მუშას, კაპიტალის მსხვერპლს, კაპიტალისავე ინტერესების დამცველად.

„პროლეტარიატის იმ ცდას, რომ ცოტა მეტი შეირჩინოს თავის შრომისაგან, წინ ეღობება მიკერძოებითი კანონმდებლობა, რომელიც გაუვალ ზღუდეს აგებს ერთისა და იმავე ქალაქის, ერთსა და იმავე ხელობის, მუშათა შორის; ზღუდეს, რომელიც დიდი ხანია მოსპობილ იქნა ყველა ქვეყნის კაპიტალთა და კაპიტალისტთა შორის. ვიმეორებთ, სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო.

„განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ კუბისა და ბრაზილიის ზანგებს საარჩევნო უფლება ჰქონდეთ, თუ ჯერ მონობა არ არის მოსპობილი? რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს კენჭს იმათ ხელში, რომელნიც თავის თავს არ ეკუთვნიან, რომელთა ცხოვრებაც დამოკიდებულია სხვის ნება-ყოფლობაზე?

„უნდა ვთქვათ, რომ მუშის დაქირავებაზე დამყარებული სისტემა მუშის დამოკიდებულების მხრით, არაფრით ირჩევა შავ მონობისაგან*). ედგრად კინე არ იყო, რომ სწერდა 1872 წ. „მუშისთვის თავის გამოზე კენჭის ყრა საშიშია: თუ გლეხია მუშა სადილოთ აღებულ მიწას დაჰკარგავს, თუ ქალაქის მუშა, თავის მუშტარს დაჰკარგავს და ერთის კენჭის ასე თუ ისე ჩაგდებისათვის თავის ცოლშვილით ქუჩაში იქნება გამოგდებული“. ამას გარდა „შვიდი წლის მუშას,“ რომელსაც ჟ. სიმონი მხოლოდ იმისთვის იცავდა თავის წიგნებში, რომ შემდეგ სხვებთან ერთად ქუჩებზე დაეხეტა, ერთად-ერთი სკოლა მადნების სოროებია და სად უნდა ესწავლა მას კენჭის ჭკვიანად ხმარება?

„ბოლოს წარმოვიდგინოთ, რომ მუშა გადაურჩა ხსენებულ ორ ხიფათს და შეიძლო და მოითხოვა კენჭით ის, რაც ეკუთვნის, ე. ი. მიწა, რომელსაც ამუშავებს, იარაღი, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს. სად არის ის ძალა, რომელიც საქმედ აქცევს იმის მოთხოვნილებათ? ვის შეუძლია შეეცადოს იმის დამტკიცებას, რომ ახალი ფეოდალიზმი მრეწველობის, ვაჭრობის და ფინანსისა, რომლის განკარგულებაშიაც იმდენი ჟანდარმები, სალდათები და მსაჯულები არიან, თავს მოიხრის და ამ მოთხოვნილებათ დააკმაყოფილებს? ცხადი არ არის, პირიქით, რომ მმართველი კლასი, რომელსაც ძალა ხელთა აქვს, არაფერს არ მისცემს, ყურსაც არ შეიბერტყავს „მეოთხე წოდების“ ლეგალურად გამოხატულ მოთხოვნილებაზე.

„საყოველთაო ამომრჩევლობას თავისი ადგილი აქვს თანასწორთა საზოგადოებაში, თუმცა მაშინ, როცა მეცნიერება გამეფდება, ამას უფრო უნდა დავუჯეროთ, ვიდრე რიცხვს საერთო ამომრჩევლობა არ არის სახსარი, რომლითაც უნდა განხორციელდეს ეს თანასწორთა საზოგადოება. იმისი განსახორციელებელი სახსარი ბრძოლაა. ლედრიუ როლლენმა უფრო მეტი ზიანი მოუტანა მაშვრალთ იმით, რომ ეს ამომრჩევლობა თავის სახსნელ და განმათავისუფლებელ იარაღად დაუსახა, ვიდრე ზარბაზნებით პროლეტარიატის საუკეთესო შვილთა სისხლის დაქცევით ივნისში“ *).

ეს სტატია დაწერილი იყო ლედრიუ-როლლენის გარდაცვალების გამო. ამ გვარად აფასებდნენ მაშინ გედი, ლაფარგი და დევილი იმ „დიდ რეფორმას“, რომლის ცხოვრებაში შეტანისთვისაც ცოტა არ უმუშავნია ლედრიუ როლლენს. ზემოდ მოყვანილ სიტყვებში მკაფიოდ და სავსებით არის გამოხატული ის აზრები საერთო ამომრჩევლობაზე, რომელიც მაშინ საზოგადო აზრებად იყო მიჩნეული. ამ საკითხს რედაქცია კიდევ დაუბრუნდა და პატარა, მაგრამ მშვენივრად დაწერილ სტატიაში კიდევ უფრო გარკვევით გამოსთქვა თავისი აზრი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სოციალისტთა შეხედულება საერთო საარჩევნო უფლებაზე. მოგვყავს ეს სტატია თითქმის სრულიად:

„რას ვფიქრობთ ჩვენ საერთო ამომრჩევლობაზე, იმის მნიშვნელობაზე სოციალურ და პოლიტიკურ თავისუფლების მხრივ, ეს უკვე ცნობილია. ამომრჩევლობას არ გაუადვილებია მდგომარეობა მუშათა კლასისა, არ გაუწმენდია გზა მეოთხე წოდებისათვის, პირიქით იგი ემსახურებოდა მუშათა კლასის მტერს, მმართველ კლასს, რომლის ბატონობა კიდევ უფრო მოამაგრა. ასეთი იყო ის პირობები, რომელშიაც მოქმედობდა საერთო ამომრჩევლობა ამ 30 წლის განმავლობაში, არც შეიძლებოდა მას სხვა შედეგი ჰქონოდა და აი რატომ:

„1. მან განხეთქილება ჩამოაგდო პროლეტარიატის შორის, რომელიც მანამდის განუყოფელ ერთეულს წარმოადგენდა და რო-

---

*) იხ. „ცნ. ფურ.“ № 3014.

*) ორიგინალში ნათქვამია L'esclavage noir. ეს შეიძლება თარგმნილი იქნას: შავი მონობა, მაგრამ აქ შავები, ე. ი. ზანგები ჰყავს ავტორს სახეში.

* იხილე Egalite № 14 (2 მარტის 1878 წ.)

ქვეშ სამარისებური დუმილია, ბერშუელების საცოდაობაზედ ხმა-მაღლა მღაღადებელი.

გ. ბერშუელი

ს. ვაჟა. უკვე ვწერდით, რომ 8 თებერვალს აქ მოვიდა მაზრის უფროსი სურამის ბოქაულით და ასი ყაზახით. ბევრის ბაასის შემდეგ სოფელმა წარუდგინა რამდენიმე ჟანგიანი თოფი და ხანჯალი. მაზრის უფროსმა იარაღის პატრონები დააჯარიმა თითო თუმნით, ხოლო მეკუქნეები უსუფთაობისთვის—ოცდა ხუთ-ხუთი მანეთით. ამათ უკვე გადაიხადეს ფული. როგორც ამას წინად ვწერდით, რომანოზ გოგატიშვილმა გამოაცხადა, სოფლის ფული წამართვესო. ეხლა დანამდვილებით გავიგეთ, რომ სულ ოცდა რვა თუმანი ყოფილა. სოფელში ამბობენ, რომ ეს ფული თითონ რომანოზმა დამალა და აღარ აჩენსო. სოფელს ეუბნება, მე ბოქაულთან ისე გავაკეთე საქმე, რომ ხელმეორედ უნდა მოიტანოთ ფულიო! სოფელი უარზეა საზოგადოდ, სოფელი გაჭირვებაშია. სამი-ოთხი თვის წინად ვიღაც ბოროტ-მომქმედმა კერძო ინტერესით საბძელი დაუწვა სტეფანე აკოფოვს. სოფელს დააბრალეს და ათი თუმანი გადაახდევინეს. როცა 17 ოქტომბრის მანიფესტი გამოცხადდა, აკოფოვმა უკან დაუბრუნა სოფელს ფული. ეხლა, როდესაც სამხედრო წესები გამოცხადდა, მთავრობას მიმართა და ხელმეორედ სოფელი აწიოკა და ათ თუმანზე მეტი აკრიფა.

ჩიტი.

ახალი ამბავი

◆ **დაპატიმრებულთა განთავისუფლება.** გუშინ, 3 მარტს, განთავისუფლეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის შემდეგი მოსამსახურენი: ალექსანდროპოლის ციხიდან—მელიტონ სოსელია, ნესტორ ჩაგუნავა, ბაგრატ კოშკაშვილი, მოსე ქებულაძე, მინა ჭელია, ვარლამ გეგენეიშვილი, მიხეილ ცენჯერაძე, პეტრე ვაშაკიძე, ნიკოლოზ მაკაცარაშვილი, დავით შველაძე, ონისიმე ბარაბაძე, იასონ ხინველი, მიხეილ ხოპერია, ბოლესლავ კორსაკი ერმილე გეგენეიშვილი, მიხეილ ჩხეიძე, ალექსანდრე ბაკურაძე, ივანე ბერიაშვილი, არშალუის სუკიასიანცი, ვასილ კევლიშვილი, ლავრენტი გეგუჩაძე, ალექსანდრე ქაჯაია, ნიკიტა ჩიტაია, სერგეი ვლადიკინი, ალექსანდრე ჯინორიძე; ყარსის ციხიდან—თევდორე ქიპაშვილი, ალექსი ჯავახაძე; ივანე ბერიტაძე, ალექსი ტურაშვილი, სერგეი იმერლიშვილი, ზაქარია თევდორაშვილი, მიხეილ ტყეშელაძე, ალექსი ტარანოვი, თევდორე ვორობცოვი, ივანე ვასილევი, ნიკოლოზ თუხარელი, აკოფ ბარამაძე; ტფ. მეტეხის საპყრობილიდან—ორმოცდა ჩვიდმეტი კაცი: ელისაბედ ნოდია, აფ. ჩილინგაროვი, მღ. ე. მირიანაშვილი, იასონ კალოიანი, ი ბონდარენკო, ტ. პრისჩენკო, სამოელ სვისტელნიკოვი, მ. ალაპოვი, მ. სროკა, ვ. და გ. თუთბერიძენი, დ. შენგელია, ნ. და ვ. გამყრელიძენი, კ. ბალიუნასი, ს. კოჯირაშვილი, ფ. ვენდელი, ა. ხოფერია, ვ. ბერიძე, ი. ზაზრევი, მედავითნე მ. სოფრომაძე, ალ. ლაბაური, ა. კახაძე, გ. დუნდუა, ივანე უჩატეიშვილი, ივანე ბაზინსკი, ბ. მანაგაძე, ელ. ხინიკერია, პ. კობახიძე, ქ. კეთილაძე, თ. რუმეხი, ს. ცხოლაძე, ნ. კოჟევნიკოვი, ს. ტულუში, დ. გეინე, დ. ბაბულაძე, ან. ხურცილავა, ა. ლომჩი, რ. ვინცაძე, ვ. რიძვეიჩი, ი. დანილოვი, პ. გუბსკი, ვ. ანშჩიკი, ს. კამიშკირცევი, ვ. კოლესნიჩენკო, ვ. სადოვსკი, კ. ბერნიატასი, ნ. ზახაროვი, ი. სანაძე, კ. გრიგოლია, ვ. მიზიურკინი და პ. ტიკსი.

◆ **დაპატიმრებულთა შესახებ.** როგორც გამოირკვა, რკინის გზის იმ მოსამსახურეთა დაპატიმრება, რომელთა წინააღმდეგაც ჟანდარმერიამ ვერავითარი საბუთი ვერ აღმოაჩინა, მხოლოდ ორ თვემდე შეიძლება. ამიტომ ამ დღეებში თუ კიდევ დარჩა ვინმე, გაანთავისუფლებენ.

◆ **რკინის გზის მოსამსახურეთა უკან მიღება.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა მოწერილობა დაუგზავნა რკინის გზის ნაწილის უფროსებს. უფროსი სწერს, შეგიძლიანთ მიიღოთ დათხოვნილი მოხელენი მხოლოდ თქვენის პასუხის მგებლობითაო. შემოსავალ ნაწილის უფროსმა 3 მარტს უკვე მიიწვია დათხოვნილი მოხელენი მოსალაპარაკებლად. ვნახოთ, რას იზამენ და როგორ მოიქცევიან სხვა უფროსები.

◆ **განთავისუფლებული ფოსტ.-ტელ. მოხელენი.** მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს ფოსტა-ტელეგრაფის დაპატიმრებული მოხელენი. განთავისუფლებულთ ას-ასი თუმანი გირაო მოსთხოვეს. არ გაანთავისუფლეს მხოლოდ ბიუროს თავმჯდომარე ბ-ნი შური და ბიუროს წევრები—გერმანოვიჩი, კვერკველაძე და საყვარელიძე.

◆ **ყუმბარის გამო შეპყრობილნი.** როგორც მოხსენებული გვქონდა, დიდუბეში ყუმბარა აღმოაჩინეს. ახლა გვატყობინებენ, რომ ყუმბარა აღმოაჩინეს ელისაბედის ქუჩის ბოლოს, დიდუბეში ივანოვის სახლში მოთავსებულ დუქანში. იმავე ეზოში ნაგავში იპოვეს ორ ლულიანი თოფი. იმის გამო დაიწყეს ჩხრეკა და 25 კაცამდის შეიპყრეს.

◆ **გაჩხრეკა.** როგორც სოფ. ავჭალიდან გვატყობინებენ, ჯარს ალყა შემოურტყამს ამ სოფლისთვის და ჩხრეკა დაუწყვია. აღმოუჩენიათ 3 თოფი და რამდენიმე ხანჯალი.

◆ **ახლად გაწვეულთა რუსეთში გაგზავნა.** ყველა ის ყმაწვილ კაცები, რომელთამც წლეულს კენჭი ერგოთ, ბევრის მოსახდელად, რუსეთში გაიგზავნენ. წინა წლებში რამდენსამე პროცენტს კავკასიაში სტოვებდნენ ხოლმე.

◆ **გენ. შირინკინის წასვლა.** გუშინ პოლიციის უფროსი გენერალი შირინკინი სამსახურის საქმეებისა გამო ჩრდილოეთ კავკასიაში წავიდა. შირინკინს თან ახლავს კანცელარიის მმართველი გუროვიჩი და რკინის გზის ჟანდარმთა უფროსი პოლკოვნიკი რომანოვსკი.

◆ **ჯიბგირების გადასახლება.** პოლიციას დაუჭერია 16 ჯიბგირი. გამოურკვევიათ, რომ დაჭერილი ჯიბგირები არა ერთხელ და ორჯელ ყოფილან შენიშნულნი და დასჯილნი, მაგრამ მაინც თავიანთ ხელობას განაგრძობენ. ამის გამო გადასწყვიტეს, ჯიბგირები ადმინისტრატიულის წესით გადაასახლონ კავკასიიდან.

◆ **რკინის გზის უფროსის შუამდგომლობა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა პოლკოვნიკმა ნეიგებაუერმა შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ რკინის გზის ბატალიონმა მუდამ ამიერ-კავკასიის გზაზე მსახუროს. ეხლა, როგორც გვატყობინებენ, რკინის გზის უფროსისთვის ნება დაურთავთ ბატალიონი მხოლოდ ყარსის ლიანდაგზე ამსახუროს.

◆ **დატუსაღებულთა საქმის გამოძიება.** როგორც გავიგეთ, დღეს 4 მარტს, ქ. დუშეთისკენ გაემგზავრება როტმისტრი ფიროლოვი და ტფ. სამოსამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი. ამათ უნდა გამოიძიონ საქმე სამღვდელო პირთა: კავკასიძისა, წერეთლისა, მშველიძისა და ჩაჩკვეტაძისა და მასწავლებლის ხანდამოვისა.

◆ **ქართველი კანდიდატები სახელმწიფო სათათბიროში.** სახელმწიფო სათათბიროში ქართველ კანდიდატებად ასახელებენ ნ. ი. ნიკოლაძეს, პრივატ დოცენტს დ. ზ. ავალიშვილს, პროფესორს მარრის და ნაფიც ვექილს ლ. ანდრონიკაშვილს.

◆ **კანდიდატი სახელმწიფო საბჭოსი.** ტფ. თავად-აზნაურთა მხრივ სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამომრჩევლად ასახელებენ თ-დ. ილ. ჭავჭავაძეს.

◆ **ხელმძღვანელობა არჩევნების დროს.** კავ. უმაღლესმა მთავრობამ ტფილისის ოლქის სასამართლოს ზოგიერთ წევრებს დაავალა წავიდნენ ტფ. გუბერნიის სხვა და სხვა მაზრებში და ხელმძღვანელობა გასწიონ სახელმწიფო სათათბიროსათვის არჩევნების დროს.

◆ **არჩევნებში მონაწილეობა.** კონსტ. დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის ბიუროს გადაუწყვეტია მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში და კიდეც შესდგომია სამზადისს. იქაურმა წრემ სთხოვა ტფილისის ბიუროს, გაუგზავნოს ბროშურები და სხვა გამოცემანი.

◆ **ლექციები.** ხვალ, 5 მარტს, დღით 12 საათზე, ტფილისის საარტისტო საზოგადოების დარბაზში ლექციებს წაიკითხავენ ბ-ნი სემიონოვი და ქალანთარი; პირველი—არჩევნების, მეორე—აგრარულ საკითხის შესახებ. შესასვლელი ფასი აბაზია.

◆ ამ სამი ოთხი თვის წინად ბორჩალოს მაზრის სოფელ მუღანლოს მცხოვრებთ შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ თავისუფალი სახნავ-სათესი, საბალახო და სატყეო ადგილები მისცემოდათ ნადელებად სადმე გუბერნიაში. ეხლა, როგორც გავიგეთ, სახელმწიფო მამულების გამგეობას უარი უთქვამს აღნიშნულ გლეხების დაკმაყოფილებაზე, რადგან თავისუფალი ადგილები შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთათვის უფასოდ განაწილებული.

◆ მოგვივიდა საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადული“-ს მეორე ნომერი (მოზრდილთათვის). შინაარსი:

„ირემი“,—ლექსი აკაკისა. „მთაზე“,—განდეგილისა. „ირემი და ხარი“,—სვ. ყიფიანისა. „ჭიანჭველების მწუხარება“,—ზღაპარი, თარგმანი ნ. თ. „ანდერძი“,—ლექსი გ. გელოვანისა. „უებარი წამალი“,—თარგ. ივ. მაჭავარიანისა. „ქანდაკება ეგვიპტელ ღმერთისა“,—თარგმანი ზღაპარი ნ. ბ.—ძესი. „ჯუზეპე გარიბალდი, იტალიის განმათავისუფლებელი“,—ვ. ღამბაშიძისა. „თამარ მეფე“,—დ. კარიჭაშვილისა. ნარევი, ანდაზები და გამოცანები.

◆ ტფილისის ქალაქის იურისკონსულტის ვალდებულების აღსრულება დროებით დაევალა საბჭოს ხმოსანს პ. მ. დოლუხანოვს.

პროვინციელის შეკითხვა

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბატონო რედაქტორო! თქვენის გაზეთის 3008 ნომერში ამოვიკითხე კავკასიის ნამესტნიკის ცირკულიარის შინაარსი, რომლითაც წინადადებას აძლევს თურმე გუბერნატორებს და ოლქის უფროსებს, რომ ამომრჩევლების სიების შედგენა 25 მარტამდე დაამთავრონ და ამიტომ ამ დრომდე უნდა შეიტანოს განცხადება ყველამ, ვისაცკი სურს არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

ასეთმა განკარგულებამ ნამესტნიკისამ ჩვენ, პროვინციელებს, ისეთი კითხვა დაგვიყენა, რომლის პასუხის მიცემა, ბევრიც რომ ვიფიქროთ და ვისაზროთ, ჩვენ არ შეგვიძლია. მე მოგახსენებთ იმის შესახებ, თუ რა გზას უნდა დავადგეთ ჩვენ, ქართველები, სათათბიროს წევრების არჩევის საქმეში.

დღემდის, თუ არა ვცდები, ამ საგნის შესახებ არც თქვენს გაზეთს და არც სხვა რაიმე დაწესებულებას ხმა არ ამოუღია. ისიც კარგად ვიცი, რომ პროვინციაში არაფერს ფიქრობენ არჩევნების შესახებ. ერთად-ერთი ცნობა, რომელიც გაზეთებმა მოგვაწოდეს, ის არის, რომ ტფილისში შესდგა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტია, სადაც თითო-ოროლა ქართველმაც მიიღო მონაწილეობა და ამ პარტიას ზრად აქვს არჩევნების საქმე მოაწყოს სახელმწიფო სათათბიროში.

აქამდის გვეგონა, რომ არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში ჩვენში მაინც დაგვიანდებოდა და ამიტომ ეს კითხვა მაინცა და მაინც ისეთს არას წარმოადგენდა ჩვენთვის, რომ საჩქარო საპასუხო ყოფილიყო და ეხლა, როცა საქმე ასე მოწყობილი, რომ ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოირკვეს, ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამომრჩეველთა არჩევანში, მრავალი კითხვა მოითხოვს დაუყოვნებლივ პასუხს.

აი ეს კითხვები: 1. ვიღებთ თუ არა ჩვენ, ქართველები, მონაწილეობას სათათბიროს წევრების არჩევაში; 2. თუ არჩევანში მონაწილეობის მიღება საჭიროა, არსებობს თუ არა ქართველთაგან დაარსებული კომიტეტი, რომელიც თავის თავზე მიიღებს არჩევნების მოწყობას მანდ ქალაქში და პროვინციებში; 3. თუ ასეთი კომიტეტი არ არსებობს, ვინ უნდა იტვირთოს ეს საქმე?

კარგად მოგეხსენებათ, ბატონო რედაქტორო, ჩვენი პროვინციის მდგომარეობა საზოგადოდ და განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როცა კაცის პიროვნება უმაღლეს ხარისხამდე შელახულია, თითო-ოროლა კაცმა სცადა ქართლის დედა ქალაქ გორში მოლაპარაკება სათათბიროს წევრების არჩევნების შესახებ და ცდამ, როგორც მოსალოდნელი იყო, უნაყოფოდ ჩაიარა; უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ უმრავლობა იმ აზრისაა, რომ საზოგადო საკითხები არჩევნების შესახებ ტფილისში უნდა გადაწყდესო და ამის და გვარად ჩვენც განვახორციელებთ ტფილელების გადაწყვეტილობასაო. უამისოდ, ამბობდნენ ბევრნი, ერთი ალთას წავა, მეორე ბალთასა და საქმე ხელიდან გამოგვეცლებაო. მართალი რომ სთქვას კაცმა, მოსაზრება სამართლიანია და აუცილებლად საჭიროა მანდ, ტფილისში, შეიკრიბოს ჩვენი ქვეყნის შეგნებული ხალხი, მოილაპარაკოს და ზემოდ დაყენებულ კითხვებზე პასუხი მოგვცეს.

თუ ამ საქმეს მალე არ მოვუარეთ და მოვაწყეთ, მე ჩემდა თავად დიდი შიში მაქვს, ვაი თუ საქართველოს წარმომადგენლებად სახელმწიფო სათათბიროში ქართველების მაგივრად სხვა ეროვნების ხალხი მოჰყვნენ. ამისთანა ამბავი წინადაც მოგვსვლია და ნურც ეხლა გაგვიკვირდება.

ქართლელი ამომრჩეველი.

პრესსა

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ ბ-ნი პ. დოლუხანოვი ტფილისის კონსტიტუციონალ-დემოკრატების შესახებ სწერს:

> ჩვენ (ე. ი. კონ.-დემოკრატები) თანამოაზრეებს ვეძებთ როგორც იმ პირთა შორის, რომელნიც ჯერ არც ერთს პარტიას არ მიეკედლებიან, ისევ იმ წრეებში, რომელნიც ჩვენზე მარცხნივ სდგანან. მემარჯვენეთაგან ჩვენ მთელი უფსკრული გვყოფს და სასაცილო გულუბრყვილობა იქნებოდა, იმედი გვქონდეს, რომ ჩვენ შევიძლოთ მემარჯვენეების გადაქცევა ხალხის თავისუფლების მომხრეებად.

თანახმა ვართ, სასაცილო იქნებოდა, ტფილისის კონ.-დემოკრატები რომ მემარჯვენეებში ეძებდნენ თავის პარტიისთვის წევრებს, მაგრამ იმიტომ-კი არა, რომ მათ შორის უფსკრული იყოს, პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ კონ.-დემოკრატთა სახელი ტფილისში სწორედ მემარჯვენეებმა დაირქვეს თუ მკითხველი მოიგონებს, ამოწერილ სიტყვების ავტორი სწორედ ის ბ-ნი პ. დოლუხანოვია, რომელმაც კონ.-დემოკრატთა პარტიის კრებაზე ამას წინად განაცხადა, ჩვენი პარტიის მეგობრები კავკასიაში მცხოვრებ ერებისთვის ავტონომიურ მმართველობის შესახებ ხმას არ ამოიღებდნენო. ჩვენთვის ავტონომიაზე ლაპარაკი საჭირო არ არის, აქ ერთად ვიმოქმედოთ და ავტონომიის შესახებ ყველანი საკუთარის აზრით წარვსდგეთ სახელმწიფო სათათბიროშიო. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბ-ნი პ. დოლუხანოვი ამბობდა ტფილისში კონ.-დემოკრატები ვიყვნეთ და სათათბიროში „17 ოქტომბრის კავშირის“ წევრებიო. მართალია, ბ-ნის დოლუხანოვისა და მისი ამხანაგებისაგან საკმაოდ განსხვავდება მღვდლის გოროდცევის პატრიოტული პარტია, მაგრამ ეს პარტია უკიდურესი მემარჯვენეა და არა მხოლოდ მემარჯვენე. ასე რომ კონ.-დემოკრატები მართლაც ვერ მოსძებნიან თავის პარტიისთვის წევრებს მემარჯვენეებში, თუმცა ჩვენ ისიც ძალიან საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ ამ პარტიამ მემარცხენეებიდან გადიბიროს ვინმე თავისკენ.

⁂

თუმცა „ნოვოე ობოზრენიე“ კონსტიტუციონალ-დემოკრატთა პარტიის სამო-

---

მელიც ყოველ გვარ სახელმწიფო ფუნქციიდან გამოდევნილი იყო. ამ რეფორმის მეოხებით-კი მუშებს ერთმანეთშივე ჩხუბი მოუვიდათ „თავის პოლიტიკურ ბატონის“ არჩევის გამო.

„2. მან მოატყუა პროლეტარიატი, რადგან შესაძლებელად მოაჩვენა თანდათან, მშვიდობიანად, ლეგალურად მოპოვება თავისუფლებისა, რომელიც კენჭს საყრელ ყუთისაგან უნდა გამოსულიყო. პროლეტარიატს შეეძლია ეს ყუთი კენჭებით გაავსოს, მაგრამ ბურჟუაზია თავის კაპიტალისა და ცოდნის მეოხებით ყოველთვის ამ ყუთის ბატონად დარჩება.

„3. მან გარეგნულად არსებობის უფლება მისცა ისეთ წეს-წყობილებას, რომელიც უწინ ძალმომრეობის გამოხატულებად სჩანდა და რომლის წინააღმდეგ ძალის ხმარებაც მოსალოდნელი იყო.

„მეტად არ მიგვაჩნია მოვიყვანოთ აქ აზრი თავის ნებით დაბრმავებულთა (ამომრჩევლები) თვალის ასახილავად, აზრი, რომელიც ამოღებულია საერთო ამომრჩევლობის მაქებ-მადიდებელის ერთ წიგნიდან: როცა საერთო ამომრჩევლობა ხორციელდება ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, იგი სრულიად არა სცვლის გამგე პირთა ჯგუფს, როგორც ზოგიერთს ჰგონია. მმართველობა რჩება ისევ იმ სოციალურ ჯგუფის ხელში, რომელიც ბატონობდა ამომრჩევლობის განხორციელებამდის. იცვლება მხოლოდ ზოგიერთი კერძო პირი. მაგრამ გამოცვლილთა რიცხვიც ისე დიდი არ არის, როგორც შეიძლება ზოგიერთმა იფიქროს. მხოლოდ შემდეგ რამდენისამე წლის განმავლობაში, სდგება, როგორც გეოლოგიური ნაკეცები, ახალი მმართველი ჯგუფები. გაითვალისწინეთ მაგ. საფრანგეთში ლუი ფილიპეს მეფობის დროის საბჭო, აგრეთვე იმპერიის, თებერვლის და ეხლანდელ რესპუბლიკისა და ნახავთ, რამდენად მართალი ვარ. რამდენი წევრი ახალ სოციალურ ჯგუფისა მოჰყვა პარლამენტში? მათი რაოდენობა თითებზე შეიძლება დავითვალოთ. კერძო პირნიც-კი ცოტათი იქმნენ გამოცვლილნი. დღევანდელი რესპუბლიკანური უმრავლესობა შესდგება მონარქისტებისაგან, რომელნიც მმართველობდნენ ლუი ფილიპეს დროს, დღესაც მათ ხელშია მთავრობა, მხოლოდ ისინი რესპუბლიკას შეურიგდნენ“. *) . . . .

მუშებს არწმუნებდნენ და მათაც მართლა დაიჯერეს, რომ რაკი დაინგრა ის კედელი რომელიც აშორებდა მათ კენჭის საყრელ ყუთისაგან, მასთან ერთად ძირიანად განქრა მათი დაუსრულებელი პოლიტიკური და ეკონომიური წვალებაც. დაარწმუნეს მუშები, რომ ამ დღიდან თვითონ გახდნენ მფლობელნი და გამგენი თავიანთ ბედისა ქ-ნ ფლოკონის მიერ 1848 წ. წარმოთქმულ ენერგიულ სიტყვისაებრ. ნამდვილად-კი აღმოჩნდა, რომ რაც საერთო ამომრჩევლობა არსებობს, ამ ამომრჩევლობამ ვერაფერი ვერ შესცვალა არა თუ კანონებში, თვით მთავრობის შემადგენლობაშიაც, რომელიც იგივე დარჩა, რაც ივლისის მონარქიის დროს იყო. თუმცა მუშები ამომრჩევლებად გახდნენ, მაგრამ ისევ ძველებურად განაგებენ მათ, ისევ ძველებურად ქვეშევრდომებად დარჩნენ იმავე კაპიტალისტურ და მესაკუთრეთა ოლიგარხიისა.

„არწმუნებდნენ მუშებს და მათაც დაიჯერეს, რომ თავიანთ კენჭის დახმარებით უფრო კარგად, ნამდვილად და ნაკლების ხარჯით, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო 14 ივლის, 10 აგვისტოს, სენ-მერის თოფის დახმარებით, ჩაიგდებდა ხელში მმართველობასა, რომელიც საერთო ამომრჩევლობის შემდეგ უმრავლესობა უნდა გადასულიყო და ამ გვარად შესაძლებელი გახდებოდა ლეგალურად, პარლამენტარულად გარდაქმნა ყველას სასარგებლოდ იმ წესწყობილების რომელიც ეხლა მხოლოდ რამდენიმეს რგებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთის პრეზიდენტის არჩევის, ორის პლებისციტის და რვა საზოგადო არჩევნების შემდეგ მმართველობა ისევ ისე იმ მოცენზეთა (censisaire) ხელში დარჩა, რომელიც იცავდა ამ ცენზს 1830 წ.

გადასახადი, კრედიტი, საზოგადო საქმეების მოწყობა უნდა შეცვლილიყო პროლეტარიატის საჭიროებისამებრ, რადგან პროლეტარიატი, როგორც ერის უმრავლესი ნაწილი, უნდა გამხდარიყო უმრავლესობად საერთო ამომრჩევლობის შემოღების შემდეგ ამის მაგიერ დღეს იძულებულნი ვართ თითებზე ვთვალოთ ახალ სოციალურ ჯგუფს იმ წევრთა რიცხვი, რომელნიც პარლამენტში მოჰყვნენ. და ამ უკანასკნელთაც პარლამენტში შესვლისათანავე უარ-ჰყვეს სოციალური ჯგუფი. რომელსაც თითონ ეკუთვნიან, მსხვერპლად შესწირეს ძველს. ამ გვარი შედეგი საკმარისია რაიმე დაწესებულების გასასამართლებლად“. *)

ამაზე უფრო მკაცრ კრიტიკას საერთო საარჩევნო სისტემისას, ამაზე უფრო მკაცრ კრიტიკას პარლამენტარულ სისტემისას ანარქისტულ ლიტერატურაშიც ვერ შეხვდებით. გ. დევილი ასეთისავე აზრისა იყო ამ საკითხზე, მანაც იგივე აზრები გამოსთქვა ასევე გარკვევით უკვე ხსენებულ წიგნის წინასიტყვაობაში. რადგან პარტიის ხასიათის გამორკვევა და პარტიის დაფუძნება ამ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტაზე იყო დამყარებული, ინიციატორები სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობისა საფრანგეთში ხშირად უბრუნდებოდნენ ამ საკითხს. მაგ. გედი ერთ ბროშიურაში*), რომელიც იმავე 1878 წ. იქნა გამოცემული, კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს და კვლავინდებურად სასტიკად გასამართლა.

ამნაირ აზრებს უდებდნენ საფუძვლად სოციალ-დემოკრატიის პრაქტიკულ მოქმედებას და ჩვენ სწორედ ამისთვის მოვიყვანეთ ასე ვრცლად და უხვად ციტატები მაშინდელ ლიტერატურიდან. დეე, თვით მკითხველმა გასინჯოს ეს დოკუმენტები და დააფასოს მათი მნიშვნელობა.

როცა ზემო აღნიშნულ დოკუმენტებს ვეცნობით, უნებლიეთ ერთი კითხვა გვებადება: სწამდათ თუ არა მაშინ პარტიის წარმომადგენლებს ის, რასაც სწერდნენ? ჩვენი აზრი, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზევით, ის არის, რომ არა, არა სწამდათ. რად იქცეოდნენ მერე ასე? იმად, რომ დრო იყო ასეთი. პარტია სულ არა სცდილა მუდმივი რამ დაეარსებინა, ნამდვილ სოციალისტურ შეგნებაზე დამყარებული. იგი პოლიტიკური პარტია იყო, დევიზად აღიარებული ჰქონდა: მიზანი საშუალებას ამართლებსო, და ამისათვის ყოველ ძალ-ღონეს ხმარობდა, რომ რაც შეიძლება მალე გამხდარიყო პოლიტიკურ ძალად. პოლიტიკურ ძალად პარტია მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიქმნეს, თუ იგი ემყარება ერთ-ერთ საზოგადოებრივ კლასს. ის საზოგადოებრივი კლასსი, რომელსაც მარქსისტები უნდა დამყარებოდნენ, ნაჩვენები იყო ისტორიისაგან—ეს კლასი პროლეტარიატი იყო. მაგრამ საფრანგეთის პროლეტარიატი, ყოველ რევოლიუციონურ ტრადიციის მოკლებული, გერმანიის პროლეტარიატი არ არის. ამ პროლეტარიატმა შეჰქმნა დიდი რევოლიუცია, მიიღო მონაწილეობა 1830 წლის მოძრაობაში, თითქმის მხოლოდ თავის ძალით დაამხო კონსტიტუციონალურ მონარქია და შეჰქმნა რევოლიუცია 1848 წლისა. აგრეთვე თავის ძალით განახორციელა პარიზის კომმუნა, რომელზედაც ენგელსი *) უთითებს ბურჟუაზიას, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის გამოხატულებაზე, თუმცა ფედერაციის მომხრე კომმუნა სულ არა ყოფილა დიქტატურა. ამ ხანგრძლივ ბრძოლაში პროლეტარიატი გამოიცადა. ყოველთვის, როცა სისხლი დაჰღვარა და გამარჯვება მოუპოვა ბურჟუაზიას იმ იმედით, რომ მასაც ჰრგებოდა რამე, მოტყუებულ იქმნა იმავე ბურჟუაზიისაგან. მოსთხოვდა თუ არა რამეს რევოლიუციით ნასარგებლებ ბურჟუაზიას, ნაცვლად ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, იგი ტყვიებსა და რეაქციას მიიღებდა ხოლმე. ასე იყო განსაკუთრებით 1848 წ და 1871 წლების რევოლიუციების დროს. პროლეტარიატმა ამ მწარე გაკვეთილების ზეგავლენით ჭკუა ისწავლა და თავისი საკუთარი იდეოლოგია შეიმუშავა. ეს იდეოლოგია ბურჟუაზიულ დემოკრატიზმის სასტიკ კრიტიკაზე იყო დამყარებული. საერთო საარჩევნო სისტემა, პარლამენტარიზმი კი სწორედ ბურჟუაზიულ დემოკრატიის ქმნილებად და მცნებად ითვლებოდა. პოლიტიკურ ასპარეზზე ახლად გამოსული სოციალ-დემოკრატია, ასე თუ ისე, უნდა შეჰგუებოდა ამ აღნიშნულ პროლეტარიატის იდეოლოგიას. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ შეგუების განსახორციელებლად სოციალ-დემოკრატიამ დემაგოგიას გარდა სხვა სახსარი ვერ ნახა. პროლეტარიატის ენაზე მხოლოდ იმისათვის იწყო ლაპარაკი, რომ ამ პროლეტარიატის ნდობა დაემსახურა და მერე მისთვის ის გაეკეთებინა, რასაც მისი დემოკრატიული, პროლეტარიატის მიერ შეძულებული, პოლიტიკური პროგრამმა თხოულობდა. დროებით მიაღწია კიდეც თავის სურვილს.

ქ. ორ—იანი

---

*) ეს ადგილი ამოღებული ა. ნაკეს წინასიტყვაობიდან, რომელიც მან P. Straus-ის წიგნს Suffage universel-ს უძღვნა.

*) იხილე Egalité № 33. (14 ივლისი 1878 წ.).

*) იხ. La republique et les greves.

*) იხილე მისი წინასიტყვაობა კ. მარქსის წიგნაკის La guerre civile en France-ისა.

სელში ეხვევა, მაგრამ „ტიფლ. ლისტოკი“ უფრო წააგავს ამ ბოლო დროს კონსტიტუციონალისტების გაზეთს, ვიდრე „ნოვოე ობოზრენიე“. „ტიფ. ლისტოკის“ მეთაური წერილი პირდაპირ აცხადებს, კავკასიის ერები ავტონომიის საკითხს გვერდით ვერ აუხვევენ, აუცილებლად უნდა გამოარკვიონ ამ მხრივ თავისი იდეალიო; თითონ ეს გაზეთი თითოეულ ერისთვის ცალკე ავტონომიის წინააღმდეგია, მაგრამ საერთო კავკასიის ავტონომია-კი სასურველად და საჭიროდ მიაჩნია. ჩვენ ხშირად გვითქვამს და კიდევ ვიმეორებთ, რომ „კავკასია“ ბიუროკრატიისაგან ხელოვნურად გამოგონილი საადმინისტრაციო ერთეულია, რომ „კავკასია“ არც სარწმუნოების მხრივ, არც ენების მხრივ, არც კულტურის მხრივ, არც ეკონომიურ მდგომარეობის მხრივ, არც უფლებრივ თვითშეგნების მხრივ არ წარმოადგენს ერთს ერთეულს და ამიტომ კავკასიის ავტონომია ვერაფერი მალამო იქნება კავკასიაში მცხოვრებ ერების გაჭირებულ მდგომარეობისთვის.

ჩვენი სამღვდელოების საყურადღებოდ

დიდი ხანი არ არის, რაც პეტერბურგში გამოდის სამისიონერო საზოგადოების ყოველდღიური ორგანო „კოლოკოლ“-ი. მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაშიაც მან საკმაოდ გაითქვა სახელი თავის ხულიგანურ მიმართულებით. განსაკუთრებით ამ გაზეთს ათვალწუნებული ჰყავს მრავალ-ტანჯული ებრაელები და, სხვათა შორის, ჩვენ— ქართველებიც.

გაზეთს მოსვენებას არ აძლევს ის გარემოება, რომ ქართველებმა, ამ ერთმა მუჭა ხალხმა, გაბედეს და უზარმაზარ რუსეთის ეკლესიას ავტოკეფალობა მოსთხოვეს. ამ საკითხს აღნიშნულმა გაზეთმა უკვე რამდენიმე მეთაური წერილი უძღვნა, ხოლო დღეს ერთს ახალ მეთაურსაც ვკითხულობთ.

ჩვენ აზრად არა გვაქვს, ქართულის გაზეთით პასუხი გავსცეთ (ამას ჩვენ სხვა გზით მოვახერხებთ); გვსურს მხოლოდ შემდეგს გარემოებას მივაქციოთ მკითხველის ყურადღება.

მეთაურის ავტორი („კოლოკოლ“ № 39) სცდილობს დაარწმუნოს რუსის საზოგადოება და სინოდი, ვითომც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა მთელის ქართველ სამღვდელოების მოთხოვნილება კი არა ყოფილიყოს, არამედ ერთი მუჭა „სეპარატისტებისა“, რომელთ მეთაურადაც მას მიაჩნია „ქუთაისის ეპისკოპოსი ლეონიდი“ და „სოხუმის მღვდელმთავარი კირიონი“.

ნუ თუ ეს ცილის-წამება უყურადღებოდ უნდა დასტოვოს ჩვენმა სამღვდელოებამ, რომლის შესახებაც იგივე ავტორი ისე სიტყვას არ იტყვის, რომ „მეამბოხეები“ („мятежные“) არ უწოდოს?!

ამას გარდა ავტორი გადაჭრით აცხადებს, ვითომ ხუთს ქართველ ეპისკოპოსს შორის (ალბად: კირიონი, ლეონიდი, გიორგი, პეტრე და ექვთიმე იგულისხმებიან, რადგან ამათ გარდა საექსარხოსოს საზღვრებში კათედრა არც ერთ ქართველ ეპისკოპოსს არ უჭირავს), „ორი ყველასათვის ცნობილი იყოს, როგორც მტკიცე მოწინააღმდეგე საქართველოს ავტოკეფალობის პროექტისა“.

მაგრამ, როგორც ზემოდ დავინახეთ, ლეონიდისა და კირიონის შესახებ იგივე ავტორი პირდაპირ ამბობს, რომ ისინი ავტოკეფალობის მომხრენი არიანო. დარჩა, მაშასადამე, სამი ქართველი ეპისკოპოსი: გიორგი, პეტრე და ექვთიმე...

საინტერესოა ვიცოდეთ, როგორს პასუხს გასცემენ ეს უკანასკნელნი სამისიონერო გაზეთის თანამშრომელს იმ ცილის წამების გამო, რომელიც ზემოდ ამოვწერეთ.

უეჭველია მათს პასუხს დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა ექმნება როგორც სამწყსოსათვის, ისე იმ ორ ეპისკოპოსისათვის, რომელნიც აგერ თვე-ნახევარზე მეტია, პეტერბურგში იცავენ ბიუროკრატიის წინაშე საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას.*) **ვალსამონი.**

რუსეთი

ვუიჩის ბრძანება პოლიტიკურ პატიმართა შესახებ. პოლიციის დეპარტამენტის უფროსს ვუიჩს ჟანდარმთაგან ცნობა მიუღია, რომ საპყრობილეებში ახალ პატიმართათვის ადგილი აღარ არისო. ამიტომ სთხოვენ ზოგიერთი უმნიშვნელო „დამნაშავე“, როგორც მაგალითად აკრძალულ ლიტერატურის შენახვისათვის დაპატიმრებულნი, განათავისუფლონ. ვუიჩს ამის პასუხად 200-ზე მეტი დეპეშა დაუგზავნია და ბრძანება გაუცია, არას გზით არ გაანთავისუფლონ პატიმარნი. ამასთან პოლიციის დეპარტამენტი ავალებს ჟანდარმთა გამგეობებს ახალ პატიმართათვის ახალი საპატიმროები მონახონ.

გლეხების დეპეშა. ვიტტეს დეპეშა მიუღია ვიტებსკის გუბერნიის გლეხთაგან. გლეხები სთხოვენ, დაგვიფარეთ სოფლებში მყოფ დრაგუნებისაგან, რომელნიც ძალზე გვცემენ, გვტანჯავენ, იკლებენ ჩვენს ქონებას და ამით სამაგიეროს გვიხდიან მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვისაო. მოძრაობას გლეხები სულ ერთიან ადგილობრივ ადმინისტრაციას აბრალებენ და სთხოვენ ვიტტეს გამოძიება დანიშნოს.

მუშების დათხოვნა. ქ. ტულაში პატრონების ქარხანის მუშებმა სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტი გამოუცხადეს. ამის გამო ქარხნიდან 2000 მუშის დათხოვნას აპირებს.

ბებელი რუსეთის ვითარებაზე. უმაღლეს მანიფესტის გამო ბებელს უთქვამს „რუსი“-ს თანამშრომლისათვის: „მე ვერ გამიგია, რად ებღაუჭება რუსეთის მთავრობა თვითმპყრობელ რეჟიმს. სულ ერთია, ეს რეჟიმი დიდხანს ვერ იბოგინებს. სოციალურ განვითარებას ვერაფერი შეაყენებს, ბისმარკი ტყუილად ცდილობდა ამას ეხლა ვიტტეც ამავ შეცდომას იმეორებს. ვერ გამიგია, რატომ არ უნდათ, მისცენ რუსეთს განზრახული კონსტიტუცია.. მე მკვლელობას არ თანავუგრძნობ,—რეაქციას ახალი იარაღს აძლევს, მაგრამ ამასთანავე ვხედავ, რომ მშვიდობიანად ვერაფერს ვერ მიაღწევს კაცი. საოცარია, აქამდის როგორ არ დაეცა სრულიად რუსეთის ფინანსები. რუსებმა საზღვარ გარედ ფული ვერ მიიღეს და ვერც მიიღებენ, ვიდრე კონსტიტუციას არ შემოიღებენ. სულით და გულით ვისურვებ, რომ რუს მებრძოლთა საქმე გამარჯვებით გათავდეს.“

კიევის აჯანყების საქმე. დასრულდა საქმე კიევში საპიორების აჯანყებისა. 80 კაცი გაანთავისუფლეს, 70 სამართალში მისცეს. რამდენიმე აფიცერიც არის საქმეში ჩარეული.

სიკვდილით სასჯელის პატიება. ქ. კიევში, ზალიავსკის, რომელსაც ბრალად ედებოდა პოლიციელის მოკვლის განზრახვა, სიკვდილით დასჯა უვადო კატორღად შეუცვალეს.

კრების აკრძალვა. როგორც ვიცით, პეტერბურგში აკრძალეს კონ.-დემოკრ. პარტიის კრებები. ამის გამო პეტერბურგის გრადონაჩალნიკს უთქვამს კარეევისათვის, რომ გრაფ ვიტტე დამეთანხმა ჩემ აზრს კ.-დ. პარტიის მავნებლობის შესახებ, მას უთქვამს, რომ არავითარი დანდობა არ იქნება ამ პარტიისა, რადგან ძნელია კაცმა განსაზღვროს, სად იწყება რევოლიუციონური პარტია და სად. კ.-დემოკრატიულიო.

საფრანგეთის კაბინეტი და რუსეთის სესხი. პეტერბურგის საფინანსო წრეებში ამბობენ, რომ რუვიეს კაბინეტის დაცემამ საბოლოოდ გააცრუა იმედი ახალი სესხის შესახებ. რუვიეს თურმე უსაყვედურებდენ, რომ იგი სცდილობდა რუსეთის სესხის საქმე მოეგვარებინა. ამან გააბრაზა ხალხი და რუვიეც ამიტომ დაეცაო.

მომრიგებელ მოსამართლეთა დაპატიმრება. დონის როსტოვში დააპატიმრეს რამდენიმე მომრიგებელი მოსამართლე.

დურნოვო და ვიტტე. 20 თებერვლის მანიფესტმა საბოლოოდ წაჰხუა ვიტტე და დურნოვო. კონფლიქტი იქამდის მივიდა, რომ დურნოვო მინისტრთა საბჭოს უკანასკნელ კრებაზე აღარ მოსულა და დემონსტრატიულად ღია ეტლით სეირნობდა მორსკოის ქუჩაზე. მიზეზი კონფლიქტისა ყოფილა რამდენიმე მუხლი მანიფესტისა, რომელსაც ვიტტე არ ეთანხმებოდა. მანიფესტის გამოცემით დურნოვომ გაიმარჯვა ვიტტეზე. სასახლის პარტია სცდილობს დურნოვო პრემიერად დანიშნოს, რადგან „დამშვიდების“ ნიჭი დურნოვოსი ძლიერ მოსწონთ.

დურნოვოს ბრძანება. შინაგან საქმეთა მინისტრს განკარგულება მოუხდენია, დაარსდეს კომისსიები იქ, სადაც აგრარული მოძრაობა იყო, მემამულეთა ზარალის გამოსარკვევად.

პოლიციის მოქმედება ბალტიის მხარეში. „რუსკ. ვედ.“ შემდეგს გადმოგვცემს: 1 თებერვლიდან ეკაუში იყო 2 ურიადნიკი და 6 დარაჯი. 16 თებერვალს სამი ამათგანი მივიდა გრიმ ბომანთან და ჰკითხა, სად არის აგიტატორი ღიშლერი, რომელსაც ღამე შენსას გაუტარებიაო. ბომანს უთქვამს, ჩემთან არა ყოფილა, და როგორც ხმა დადის, ის ეხლა საზღვარ გარედ უნდა იყოსო. დარაჯებს ამის შემდეგ გაუყვანიათ ბომანი ეზოში და დაუხვრეტიათ. მასთან ერთად დაუხვრეტიათ იმისი ცოლიც, რომელიც სცდილობდა ქმრის განთავისუფლებას. საცოდავთ 2 პატარა ობოლი დარჩენიათ.

ამ ბოლო დროს სამხედრო სასამართლოს დადგენილებით, მეირანში დაუხვრეტიათ მწერალი, ნოვო-შვანენბურგში 5 კაცი; პრონენბურგში 5, ადლენში.—1. ამას გარდა ლიბავაში ჯარს დაუხვრეტია 4 რევოლიუციონერი. ზოგიერთა პირების უძრავი ქონება გადაუწვავთ; ბევრი დაუპატიმრებიათ.

საყურადღებო პეტიცია. ქ. ვარშავაში „რუსთა კლუბს“ გენერალ-გუბერნატორისათვის წარუდგენია პეტიცია. ეს რუსი—პატრიოტები თხოულობენ, მოკლულ ინჟინერის ივანოვის ოჯახობის სასარგებლოდ ქალაქმა ვარშავამ 1 მილიონი მანეთი გადაიხადოს.

წერილები

ს. ხაშმი (გარედ-კახეთი). ხაშმელებმაც მოუხარეს ქედი რეაქციას. განსაკუთრებით ძველის წესების მომხრენი შედგნენ ყალხზე და ბასტი-ბუკუს უვლიან: აჰა, შვილოსა—იძახიან ნიშნის მოგებით—ხომ ნახეთ „თქვენმა ერთობამ“ რა მოგვიტანაო... მაგრამ სანუგეშოდ, ასეთი მოაზრე ხალხი ძლიერ ცოტაა, ესეც ისინი არიან, რომელნიც თუმანს ექვს შაურად და ხშირად ათშაურადაც ასარგებლებდნენ; ესენი იყვნენ აქამდე ბატონები და გამომხვრელები სოფლისა, დღეს-კი აილაგმნენ და ვერაფერად მოსწონთ, რომ ექვს შაურის მაგივრად სარგებელს ახლა ექვს კაპეიკს უთვლიან, საზოგადო ბეგარებიც გამოჰყვით და საზოგადოდ ღარიბ-ღატაკთა ფერხულში ჩააბეს: გულის წყრომით სწყევლიან და ემდურებიან ყველა ამის მიზეზს, მაგრამ გამარჯვების იმედი დაჰკარგეს. აქაურმა ახალგაზრდობამ—გლეხების უმეტესობამ ფხიზლად მიინდომა თავისუფლებათა დაცვა. ამ ერთის კვირის წინად ოცის წლით დახრამული, გაფუჭებული გზა გააკეთეს ქვით ჩაკირეს და ღორღითა და ქვიშით მოკაზმეს. აქაური ხალხი დარწმუნდა, როგორც ერთობაშია ძალა. ხულიგანები, ძველის წესების მომხრენი შურით შეჰყურებენ ამას.

სწავლა სწარმოებს.

ხალხი ბაღ-მინდორზე გავიდა.

დროებით აქაური

ბარის ოსეთი. შარშანდელმა „ერთობა“-მ აქეთაც დალ-დაუკვრელი არც ერთი სოფელი არ გაუშვა. მომეტებულად თერგ-გაღმა სოფლებს დიდი გადასახადები შეაწერეს. მიზეზი გადასახადების შეწერისა, როგორც მკითხველებსაც გაეგებათ, ის არის, რომ დეკემბერში თერგს-გაღმა მცხოვრებ ოსებმა მოვაჭრეების (სოფლებში) დუქნების საქონელი გაიტაც-გამოიტაცეს ს. ალაგირში მცხოვრებ ინჟ. სემეიკოვს ორი დიდი სახლი გადაუწვეს, იქვე გადასწვეს გამომძიებლის სახლი საქმეებით. გადასწვეს რადონში ვერცხლის ზავოდის შენობა, ტყის საყარაულოები და სხვა. ყველა ამების გამო მთავრობამ სოფლებში ჯარი ჩააყენა ზარბაზნებით (სოფელ ფისილმონ-ყაუში რამდენიმე სახლიც დაანგრიეს ზარბაზნებით) და სახლებს სჩხრეკავენ. ვის სახლშიაც დუქნებიდან გატაცებული საქონელი იპოვნეს, ფარჩეულობა და სხვა, იმას საქონელიც წაართვეს, და ოც-და-ათი თუმანიც გადაახდევინეს. ვის სახლშიაც არა იპოვნეს-რა, იმასაც ათი თუმანი გადასახადი შეაწერეს. დაატუსაღეს მრავალი თვალსაჩინო პირი. მათ შორის სტუდენტები და მასწავლებლებიც. ბარის სოფლებში რომ გაათავა ჯარმა მოქმედება, მთაში გაუდგა და აგირის ხეობისაკენ ყაზახის ჯარი გაგზავნეს, დარღავსის ხეობაშიაც, იქ იმიტომ, რომ დარღავსელებმა თულათოვი ტყე გასჩეხეს. აგრეთვე დადიან სოფლებში და აგროვებენ ნება-დაურთველად გამოზიდულ ხე-ტყეს. ტყიდანვე ძალად გამოზიდულ ხე-ტყეს აგროვებენ აგრეთვე კავკავშიაც. **ქართველი ოსებში.**

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 2 მარტი. ქუთაისის ქალაქისა და გუბერნიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების კონფერენციამ გადასწყვიტა ბოიკოტი გამოუცხადოს სახელმწიფო სათათბიროს.

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

28 თებერვალი

ლონდონი. სტანდარდს აუწყებენ ტოკიოდან, დეპუტატთა პალატამ მიიღო წინადადება სამხედრო მინისტრისა იაპონიის ქვეით ჯარში 2 წლის სამსახურის ვადის შემოღების შესახებ.

ნიუ იორკი. გონსლეხუდან მოსული გემი იუწყება, გავაის კუნძულზე ძლიერ ამოხეთქა ვულკანმაო. სამი სოფელი განადგურებულ იქმნა სულ ერთიანად.

ლილი. მაღაროების მუშები ღელავენ. ითხოვენ სამუშაო ხელფასის 10%-ით მომატებას. გაიფიცნენ ოსტრიკლებაში ნახშირის მთხრელნი

პარიჟი. მინისტრთა დეკლარაციის შედგენის დროს გაიმარჯვეს ზომიერებმა, რითაც უკმაყოფილოა ჟორესი. კაბინეტს განზრახვა აქვს განაგრძოს ანტიმილიტარისტთა დევნა და წინადადება მოხელეების შესახებ კანონის გამოცემას.

ჩიტა. სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს მუზეუმის დირექტორ კუზნეცოვს, ტეხნიკოსს გრიგორიევს, მუშა სტოლიაროვს, რკ. გზის მოსამსახურეებს ცუკერმანს, კლერკს, ვაინშტეინს, მეჩნიკოვს, კრივონოსენკოს და უვადო კატორღა კლარკის 18 წ. შვილს. გაამართლეს მუშა გაჩეევი.

ტაშკენტი. კაპიტანს პეტრუნინს, რომელმაც გენ. ფრისელდოვის მოკვლა განიზრახა, სიკვდილით დასჯა, უმაღლესის ბრძანებით, 3 წ. ციხეზე შეუცვალეს.

ვარშავა. უცნობთ მოჰკლეს 13 წლის ბიჭი სკობოვის ქუჩაზე, გაძარცვეს და დაუჭრეს მეწაღე.

2 მარტი.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით მოიხსნა სამხედრო წესები ბელოსტოკსა, ბელოსტოკის მაზრასა და სიზრანში.

ხარკოვი. 37 სამრეწველო დაწესებულებაში 22 უარი სთქვა არჩევნებზე.

სარატოვი. გენ. სახაროვის მკვლელის საქმის გარჩევა 3 მარტისთვის არის დანიშნული. მა დღესვე გაარჩევენ ვიცე-გუბერნატორის მოკვლის გამზრახველის საქმესაც. სახაროვის მკვლელი უარს ამბობს თავის ვინაობის განცხადებაზე.

კალიში. აღმოაჩინეს ყალბ ფულების ფაბრიკა—12 ვერსზე კალიშიდან.

მოსკოვი. მოსკოვის სამაზრო ერობის ექიმებს სხდომა ჰქონდათ და დაადგინეს, საგუბერნიო ერობის თავმჯდომარესთან მომხდარ კონფლიქტის გამო. სამსახურიდან გავიდნენ ყველანი.

პეტერბურგი. გარეშე საქმეთა სამინისტროს პირველ დეპარტამენტის დირექტორი გარტვიგი დანიშნა ელჩად თეირანს. სატირიკულ ჟურნალ „სტრელა“-ს რედაქტორს სტუდენტს კნოროზოვსკის ორის თვის ციხე გადაუწყვიტეს და აუკრძალეს რედაქტორობა 5 წლის განმავლობაში.

სატირიულ ჟურნალ „ზაბავა“-ს რედაქტორს ზუზურევო-კლებანსკის მიუსაჯეს 2 თვის ციხე და აუკრძალეს რედაქტორობა 5 წლით.—მწერალთა კავშირმა პროტესტი განაცხადა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, რაც ჩიტის ლიტერატორებისთვის სიკვდილით დასჯის გადაწყვეტით არის გამოწვეული.

პეტერბურგი. რათა არჩევნები თავისუფლად იქნას წარმოებული, ამიტომ მინისტრთა საბჭომ შემდეგს წესებს ამუშავებს: ციხეში ჩამწყვდევენ იმათ, ვინც ხელს შეუშლის არჩევნების წარმოების მუქარით, ძალმომრეობით და ისეთ ცნობების გავრცელებით, რასაც არჩევნებისთვის წინააღმდეგობის გაწევა უნდა მოჰყვეს, აგრეთვე იმათ, ვინც ქრთამით ან დაპირებით გადაიბირებს ამომრჩეველს და თავის კანდიდატისთვის მიაცემინებს ხმას. დასჯილი იქნება აგრეთვე გადაბირებისა და მოსყიდვის საშუალებით არჩეული პირი. ტუსაღთა განყოფილებაში გაგზავნით და ზოგიერთ უფლებების ჩამორთმევით სჯიან იმათ, ვინც ხელს შეუშლის საარჩევნო კრების მოხდენას. ძალმომრეობით, ჭურის მოწამვლით აყროლებული ნივთიერებით, აგრეთვე ხმების დათვლის დროს სიყალბის ჩამდენს საარჩევნო სიების მომპარავთ. ის კი, ვინც არ დაუშვებს სათათბიროსა ან საბჭოს წევრებს თანამდებობის ასასრულებლად და იხმარს მუქარას, ძალმომრეობას და ან ჭურის მოსწამლავს- დაატუსაღებენ იმ პირს, რომელსაც არ ექნება ნება არჩევნებზე მონაწილეობისა და იქ კი იქნება.

ბუდაპეშტი. ნაციონალურ მუზეუმის კიბეზე, სადაც ხვალ მარტის დღესასწაული უნდა გაემართათ უნივერსიტეტში ლექციების მომსმენთ, იპოვნეს პატრონა, 25 სანტიმეტრი სიგრძით; ამისთანა პატრონებს მთა-მაღლებში ხმარობენ ქვების ასაფეთქებლად. გამოძიება წარმოებს.

პარიჟი. პალატამ ყურადღებით მოისმინა ახალ სამინისტროს პროგრამმა და ნდობა გამოუცხადა კაბინეტს 305 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 196-სა.

ვლადივოსტოკი. ჯარის [illegible] მანჯურიიდან ძლიერ სცემს ვაჭრობას. რადგანაც აქ ბევრმა ებრაელებმა მოიყარეს თავი, ამიტომ მთავრობამ ზომები მიიღო უკვე გაასახლონ იგინი აქედან.

ხარბინი. ხელ-ახლა დართეს ნება გამოვიდეს შეჩერებული გაზეთი „ნოვი კრაი“.

ელისავეტგრადი. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით სამხედრო სამართალში უნდა იქნან მიცემული არბიტმანი, კოზულენკო და 3 გლეხი. პირველს გამომძიებლის მოკვლას განზრახვა ჰბრალდება, მეორეს საერთო დარბევის შეურაცყოფა და უკანასკნელთ ტელეგრაფის მავთულების გაფუჭება.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

2 მარტი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია, რომ 20-27 თებერვლამდე იმპერიაში 22 შემთხვევა ყოფილა რევოლიუციონურ მოძრაობისა.

„ნოვოე ვრემია“ იუწყება, ბაშკირებმა ვიტტეს ქაღალდი წარუდგინეს, სადაც ნათქვამია, უსამართლობაა ყირგიზთა და ბურიატებს ჰქონდეთ უფლება სათათბიროში მონაწილეობისა, ბაშკირებს-კი არაო.

„სლოვო“-ს სიტყვით 25 მარტს გამოაცხადებენ ბრძანებას სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ, ამნისტიას კი სათათბიროს გახსნის დღეს. 18 თებერვლამდე 18,000 პოლიტიკური დამნაშავე მჯდარა ციხეში. ამათი საქმე ჯერ გამოუძიებელია. განზრახულია, ჩქარა დიდძალი პოლიტიკური დამნაშავე გაანთავისუფლონ. დატუსაღებულთა უმეტეს ნაწილის საქმეებს სასამართლოში გაარჩევენ.

„ნაშა ჟიზნი“ იუწყება, მინისტრთა საბჭომ ყურადღება მიაქცია შავ-რაზმელთა პროკლამაციებს და საჭიროთ დაინახა უცენზუროდ აღარ გამოუშვას ამათი მოწოდებანი, რომელნიც დაექვემდებარება ბეჭდვითი სიტყვის წესების მუხლების შესახებ მცხოვრებთა ერთის ნაწილის ამხედრებისა მეორის წინააღმდეგ.

„სტრანა“ ამბობს, ფინლიანდიის სეიმის ახალ წესდების პროექტს, რომელიც ფინლიანდიის სენატმა შეიმუშავა, პირდაპირ ხელმწიფეს წარუდგენენ დასამტკიცებლად. ასე რომ მინისტრთა საბჭო აღარ მიიღებს მონაწილეობას ფინლიანდიის სეიმის ახალ წესდების შედგენაში.

ტომსკი. ბარნაულისა და ბიისკის მაზრაში დაარსდა მფარველი რაზმი 200 კაცისაგან, რომელმაც დახმარება უნდა გაუწიოს პოლიციას მისის უდიდებულესობის ტყიდან გატანილ მასალის ძებნაში. ყველანი პერდანკებით არიან შეიარაღებულნი.

ვლადივოსტოკი. საკომერციო წრეები შეშინებულნი არიან, რადგან ჩინეთმა ჯარს მოუყარა თავი საზღვრებთან.

პარიჟი ბურჟეს, კურიერს და ოსტრიკურში მაღაროების მუშები გაიფიცნენ. 3 მარტს მოხდება საერთო გაფიცვა. კურიერში განაგრძობენ მაღაროებიდან დაღუპულ მუშების გვამების ამოღებას.

ალჟესირასი. ხმა გავრცელდა, საფრანგეთის ახალი პროექტი პოლიციის დაარსების შესახებ არ იქნება მიღებული, რადგანაც ორგანიზაციის ხასიათი არაა უზრუნველმყოფელი საერთაშორისო ინტერესებისათ.

ადესა. ივანე ოზმიდოვს, რომელიც თავის თავს გენერლის შვილს უწოდებს, სასამართლომ 3 წლით სატუსაღოში ჩასმა მიუსაჯა ჯარში ისეთ ფურცლების გავრცელებისათვის, რომლებშიაც არსებულ წესწყობილების დანგრევისადმი მოწოდებაა გატარებული.

ვარშავა. პატრულმა დაიჭირა კარლ შეგნიკი, რომელიც შემოწირულებას ჰკრებდა პოლონელების სოციალისტურ პარტიის სასარგებლოდ. მას ბრაუნინგი უპოვნეს.

რომნი. ციხეში ტუსაღებმა არეულობა მოახდინეს და ძალზე სცემეს უფროს ზედამხედველს.

ბორისოვი. სოფ. ბიტრიში დაიჭირეს გლეხები, რომელნიც მემამულეების ტყეს გაჩეხაზე აქეზებდნენ გლეხ-კაცობას.

ბერლინი. ვარშავაში სოციალისტ როზა ლიუქსემბურგის შეპყრობამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ვარშავა. ბრონის მაზრაში მარიავიტებმა სცემეს ქსენძებს, რომელნიც არქიეპისკოპოსებს გამოეგზავნათ საყდრის დასაბეჭდად. ეს საყდარი მარიავიტებს დაეჭირათ.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ მიანდო შინაგან საქმეთა მინისტრს: 1. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ გარემოებას, რომლებიდანაც აშკარა იქნება, რომ განზრახულია ებრაელების კვლება; 2. ეცნობოს გენერალ-გუბერნატორებსა და გუბერნატორებს, ზომები იხმარონ ებრაელების კვლებისთვის მზადების წინააღმდეგ, თავიდან აცილონ იგი ებრაელებს, ჩააქრონ ყოველივე მასობრივ მოძრაობა ამათ წინააღმდეგ; 3. მოიხსნას ახალი განსაკუთრებული კანონები, ებრაელების შემავიწროებელნი, თუ ამას ხელს არ შეუშლის არსებული საჭიროება და თუ იგინი არ გამომდინარეობს პირდაპირ კანონებიდან.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

---

*) საინტერესო ცნობას იძლევა იგივე ავტორი; სახელდობრ, იგი ამბობს, რომ სინოდის წევრთა შორის საქართველოს ავტოკეფალიას ორი ძლიერი მომხრე ჰყავსო: პეტერბურგის მიტროპოლიტი ანტონი და საქართველოს ექსარხოსი ნიკოლოზიო. ვ.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
აცხადებს, რომ 6 მარტს, 12 საათისთვის, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც გაიცემა არხის გაყვანის საქმე ფეოდოსიევის ქუჩაზე (კოლიუჩი ბალკი).
140 საჟ. ბეტონის მილი 0 33+0,22
25 „ „ „ 0,16+0,10
4 საზვერავი ჭა.
წერილობით განცხადებანი ცალ-ცალკე ფასის აღნიშვნით უნდა წარდგენილ იქნას დაბეჭდილ კონვერტებით 6 მარტისთვის.
ვისაც ვაჭრობა სურს, შეუძლიან პირობები გასინჯოს გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, 12—2 საათზე. საქმე № 167/01. (3—6—3)

1906 წლის 1 მაისიდან დაიწყებს მოქმედებას ტფილისში არტელი ინტელიგენტ ქალებისა, რომელნიც მუშაობენ საწერ მანქანებზე და არითმომეტრებზე.
ვისაც სურს არტელის წევრებად შევიდეს, სთხოვენ ჩაეწეროს ა. ზ. ბრილკოს წიგნის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპ., № 10, „კრუჟოკ“-ის ქვემოდ. (3—86—3)

Открыта подписка на ежедневную газету
„СОВРЕМЕННИКЪ“
Подписная плата: до конца года 7 руб., помѣсячно—по 1 руб., отдѣльные №№ 5 коп.
Объявленія: 1 стр. петита до текста—20 коп., полѣ текста—10 коп.
Подписка и объявленія принимаются въ конторѣ газеты Ванкская 8.
Редакція и главная контора: на Московской ул., д. № 20.
№ 1 „Современника“ выйдетъ, въ воскресенье, 5-го марта.
Редакторъ-Издатель *А. И. Канчели.*

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“-სა. ვანქის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 872.